პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 173 (5274) | შაბათი, 30 ივლისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის საკავშირო დღეა.

სალამი სახელოვან რკინიგზელებს და მათ სტალინურ სახკომს ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩს, რომლებიც სახელოვნად ატარებენ საბჭოთა ტრანსპორტის მუშაკთა მაღალ სახელწოდებას და თავის შრომას არ ზოგავენ საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის.

რკინიგზების მუშაკები, აღზრდილნი ამხანაგი სტალინის მიერ, მჭიდროდ დარაზმული ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გადააქცევენ ტრანსპორტს „მკაფიოდ მომუშავე, გამართულად მომქმედ საათის მექანიზმივით ზუსტ კონვეიერად“



ელმავალი შემადგენლობით სურამის უღელტეხილზე.

ფოტო ეტიუდი

საბჭოთა რკინიგზელების დღესასწაული

დღეს სამი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მშრომელი კაცობრიობის ბრძენმა ბელადმა დიდმა სტალინმა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა კრემლში რკინიგზელები მიიღეს. ეს მოხდა 1935 წლის 30 ივლისს.

30 ივლისი ღირსშესანიშნავი თარიღია სოციალისტური რკინიგზის ტრანსპორტისათვის, მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. მრავალი წლის მანძილზე რკინიგზელები ამ დღეს პირველად წარსდგნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების წინაშე იმ ბრწყინვალე გამარჯვების პატაკით, რომელიც მათ სახელოვანი სტალინური სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით მოიპოვეს.

ეს იყო არა მარტო რკინიგზელების ზეიმი, ეს იყო ზეიმი მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყნისა.

ტრანსპორტი მანამდე ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველაზე „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენდა, იგი აფერხებდა სახალხო მეურნეობის განვითარებას, ვერ უზრუნველჰყოფდა მნიშვნელოვან ტვირთთა გადაზიდვას, რითაც ანელებდა გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ტემპებს.

პარტიამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ტრანსპორტის გარდაქმნას, ტრანსპორტზე გაიგზავნა ამხანაგი სტალინის საუკეთესო მოწაფე და თანამებრძოლი, რკინის სახკომი ლ. მ. კაგანოვიჩი, რომელმაც ჩვენი სახალხო მეურნეობის ეს ყველაზე სამარცხვინოდ ჩამორჩენილი დარგი მკვეთრად წამოსწია და სწრაფი აღმავლობის გზით წაიყვანა. დღეს ჩვენი სოციალისტური ტრანსპორტი მაღალ მწვერვალებს იპყრობს.

ლ. მ. კაგანოვიჩის სტალინურმა ხელმძღვანელობამ ფართო გასაქანი მისცა ტრანსპორტზე მასების შემოქმედებითს ინიციატივას, აგორდა სოციალისტური შეჯიბრება, გაძლიერებულნი პარტიული ორგანიზაციები ყოველმხრივ ეხმარებოდნენ ტრანსპორტის ხალხს ახალი ტექნიკის დაუფლებაში, ტრანსპორტის მუშაკთა ფართო მასებში ფეხი მოიკიდა სტახანოველობის მოძრაობამ, რომელმაც ტრანსპორტის ყველა დარგში ათასობით ახალი ადამიანები, ბოლშევიკური კადრები რკინიგზელთა მასების ფართო ძირეული ფენებიდან, რომელთაც მაღალი სისწრაფე, მძიმე მატარებლების ტარება და მაწამდე არნახული ტემპები გვიჩვენეს სარკინიგზო მუშაობის ყველა დარგში.

სიძნელეებთან ბრძოლაში გამოიწრთვნენ მოწინავე მებრძოლი კადრები მეთაურებისა, პოლიტმუშაკებისა, სტახანოველებისა, რომელთაც გვიჩვენეს საუკეთესო მუშაობის ნიმუშები. საბოლოოდ განადგურებულ იქნა გამხრწნელი ბურჟუაზიული, ანტისახელმწიფოებრივი ტროცკისტულ-ბუხარინული „თეორია“ ზღვარისა, რომელიც მოხერხებულად ფარავდა თავის ნამდვილ სახეს ცრუმეცნიერებით და ამტკიცებდა. ტრანსპორტის მუშაობამ უკვე საზღვარს მიაღწია და 55 ათას ვაგონზე მეტის ტვირთვა დღეღამეში წარმოუდგენელიაო.

ამ ბრძოლაში რკინიგზელები საყვარელი სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის მეთაურობით გამოვიდნენ გამარჯვებულნი, უფრო განმტკიცებულნი, უფრო შემჭიდროვებულნი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, გაძლიერებულნი რევოლუციური სიფხიზლით, მზადმყოფნი მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის, დარაზმულნი ტრანსპორტის ძლიერებისა და თავდაცვის უნარიანობის უფრო მეტად განმტკიცებისათვის.

ხალხთა ბელადმა, რევოლუციის ლოკომოტივის მემანქანემ—დიდმა სტალინმა კრემლში მიღების დღეს რკინიგზელების წინაშე გაშალა ტრანსპორტის განვითარებისათვის ბრძოლის ბოლშევიკური პროგრამა, მისი სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგად გადაქცევის პროგრამა. ბელადმა რკინიგზელთა მიღებაზე წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა, რომელშიაც სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა განსაკუთრებულ სიმაღლეზე იყო დაყენებული.

რკინიგზელთა დიდმა არმიამ საყვარელი სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის სახით მაშინ პარტიას, მთავრობას, დიდ სტალინს სიტყვა მისცა, რომ ისინი სასახელოდ შეასრულებდნენ მათს წინაშე დასმულ ამოცანებს, განავითარებდნენ ტრანსპორტს მრეწველობის, თავდაცვის, მთელი სახალხო მეურნეობის მოთხოვნათა დონემდე.

ეს სიტყვა რკინიგზელებმა შეასრულეს. დიდზე უდიდესია ის მიღწევები, რომლებითაც სოციალისტური ტრანსპორტი რკინიგზელთა დღის 3 წლისთავს ხვდება. კოლოსალურად გაზრდილია დატვირთვა, გაუმჯობესებულია ორთქლმავალ-ვაგონთა მიმოქცევა, გაშლილია ბოლშევიკური ბრძოლა გრაფიკის დაცვისათვის, გაზრდილია ტექნიკური და კომერციული სისწრაფენი, ჩვენი ტრანსპორტი შეიარაღებულია მაღალი ტექნიკით.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენი გზის სახელოვანი კოლექტივიც მნიშვნელოვანი წარმატებით ხვდება, რომ სამი მოძმე რესპუბლიკის დამაკავშირებელ მთავარ ძარღვს—ნავთისა, მარგანეცისა და ცინტრუსების მთავარ მაგისტრალს უდიდესი მიღწევები მოეპოვება.

ეს მიღწევები მოპოვებულია რკინის სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით და საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელის, ამიერკავკასიის ხალხთა საყვარელი მეგობრის ლ. პ. ბერიას უდიდესი ყურადღებით ტრანსპორტისადმი და ყოველდღიური პრაქტიკული დახმარებით.

მაგრამ ყველაფერი ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ტრანსპორტი სავსებით კარგად მუშაობს, რომ აქ ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს. არა, ამის თქმა თავის მოტყუება იქნება. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. და ეს რომ ასეა, ეს ჩანს ამხ. კაგანოვიჩის ახალი ბრძანებიდანაც (№ 230-ს) „1937-1938 წლის ზამთრის მუშაობის გაკვეთილებისა, რკინიგზის ტრანსპორტის ახალი აღმავლობისა და 1938-1939 წლის ზამთრისათვის მომზადების შესახებ“. ამ ბრძანებაში ლ. მ. კაგანოვიჩი სტალინური გამჭრიახობით იძლევა ტრანსპორტის ჯერ კიდევ ცუდი მუშაობის ანალიზს და სახავს ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის პროგრამას.

დატვირთვის ნორმების კიდევ უფრო გაზრდა, სისწრაფეთა გადიდება, ვაგონებისა და ორთქლმავლების მიმოქცევის შემდგომი დაჩქარება, მოძრაობის გრაფიკის — ტრანსპორტის მუშაობის ამ რკინის კანონის მტკიცედ დაცვა, ყველაზე სამარცხვინო მოვლენის — ავარიებისა და მარცხების — სრული ლიკვიდაცია — ყოველივე ეს არის და რჩება თვითეული რკინიგზელის ბრძოლის საპატიო ამოცანად, ღირსების საქმედ.

„რკინიგზელთა კოლექტივშა ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ განამტკიცოს მუშაობაში მიღწეული წარმატებები და მიაღწიოს ვაგონების მიმოქცევის სისწრაფის შემდგომ გადიდებას, მათი გაცდენის შემცირებას, მატარებელთა მოძრაობის გაუმჯობესებას და, რაც მთავარია, უყოყმანოდ და უწუნოდ მუშაობას“ (ლ. ბერია).

რკინიგზის ტრანსპორტის საკავშირო დღე სასიხარულო დღეა საბჭოთა რკინიგზელების ცხოვრებაში.

ამ დღეს, ჩვენი რკინიგზელები, ახდენენ რა ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი თავისი უსაზღვრო ერთგულების დემონსტრაციას, უფრო მეტი აღგზნებით იბრძოლებენ ახალი წარმატებებისათვის, ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის; მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ, რომ რკინიგზების ზუსტი, აწყობილი და შეუფერხებელი მუშაობა წარმოადგენს სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას.

30 ივლისის დღეს საბჭოთა რკინიგზელები ატარებენ რევოლუციური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერებისა, ხალხის მტერთა დაუნდობელი გამომაშკავნებისა და განადგურების, ფაშისტური ინტერვენციის მზარდი საშიშროების წინაშე ყოველთვის მობილიზაციურ მდგომარეობაში ყოფნის ლოზუნგით.

ყვარლის რაიონმა დაამთავრა მოსავლის აღება

ყვარლის რაიონმა 27 ივლისისათვის დაამთავრა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. მოსავალი აღებულია 9.056 ჰექტარზე. სახელმწიფოს ჩაბარდა 4.200 ცენტნერი მარცვლეული.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომი — ვაჩაძე

რაიაღმასკომი — კოლელიშვილი

„გიგანტმა“ შეასრულა ჩაის კრეფის ივლისის გეგმა

სოფელ ზემო-ბარღების (ვალის რაიონი) კოლმეურნეობა „გიგანტი“ (თავმჯდომარე—ივ. ახალაია, პარტმიმგრებული — რ. ჯობავა), ჩაის ფოთლის კრეფის წარმატებით ჩატარებისათვის სოცშეჯიბრებაში იყო ჩაბმული ოქტომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 55.860 კილოგრამისა „გიგანტმა“ მოჰკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 56.322 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ჩაის კრეფის სამი თვის გეგმა შესრულებულია 115.5 პროცენტით — ნაცვლად 140.770 კილოგრამისა მოკრეფილია 161.708 კილოგრამი. კრეფა გაძლიერებულ ტემპით მიმდინარეობს.

ამრიგად, ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან შეჯიბრებაში კოლმეურნეობა „გიგანტმა“ გაიმარჯვა.

უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე

კიევი, 27 ივლისი (საკდესი). დღეს საღამოს სხდომაზე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ აირჩია უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ სესია ერთხმად ირჩევს დეპუტატ ამხ. ლ. რ. კორნიეცს და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად—დეპუტატებს ამხ. ვ. ფ. სტარჩენკოს და ტ. ა. კონსტანტინოვს.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა შემადგენლობაში სესია ერთსულოვნად ირჩევს ამხ. ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს, ამხ. ს. კ. ტიმოშენკოს და სხვ.

შემდეგ სესია გადადის უკრაინის სსრ მთავრობის—სახალხო კომისართა საბჭოს შედგენის საკითხზე.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბურმისტენკო აქვეყნებს უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. დ. ს. კოროტჩენკოს განცხადებას, რომელიც მის სახელზე შემოვიდა, იმის შესახებ, რომ უკრაინის სსრ სახკომსაბჭო იხსნის რწმუნებებს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

ამ საკითხზე სიტყვა ეძლევა დეპუტატ ა. ს. შერბაკოვს, რომელსაც წინადადება შეაქვს ნდობა გამოეცხადოს უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს და დაეტოვოს დეპუტატ ამხ. დ. ს. კოროტჩენკოს უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს თავისი წინადადებანი სახკომსაბჭოს ახალი შემადგენლობის შესახებ.

შემდეგ ამხ. შჩერბაკოვი აკრიტიკებს უკრაინის სსრ ზოგიერთი სახალხო კომისარიატის მუშაობას. იგი ლაპარაკობს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და მისი სახალხო კომისრის ამხ. ზადოროჟნის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. მთავრობა უდიდეს სახსრებს აბანდებს ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობის საქმეში, მაგრამ სახალხო კომისარიატის ცუდი მუშაობის შედეგად ამ სახსრებს ხშირად ისე არ იყენებენ, როგორც საჭიროა.

დეპუტატი ამხ. შჩერბაკოვი აკრიტიკებს აგრეთვე უკრაინის სსრ განსახკომს და მის სახალხო კომისარს ამხ. ხომენკოს, რომელმაც ვერ შესძლო ბოლშევიკური ხელმძღვანელობა გაეწია სახალხო განათლების საქმისთვის.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი ამხ. ოსიპოვი, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობა. მან აღნიშნა აგრეთვე დიდი დეფექტები უკრაინის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობაში.

უკრაინის სსრ მიწსახკომის ცუდ მუშაობაზე თავის გამოსვლაში ილაპარაკა დეპუტატმა ამხ. ს. ბ. ზადონენკომ. დეპუტატმა ამხ. ვ. ნ. ბოროსვმა გააკრიტიკა უკრაინის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობა, დეპუტატმა ამხ. ი. მ. ფილიპოვმა—მუშაობა სსრკ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა უკრაინაში.

დეპუტატ ამხ. პ. ი. სტარიგინის წინადადებით, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია ერთსულოვნად უცხადებს ნდობას უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს და დეპუტატ გ. ს. კოროტჩენკოს ავალებს სესიას განსახილველად წარმოუდგინოს წინადადებანი სახკომსაბჭოს შემადგენლობის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღოს დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნები ცალკეულ სახალხო კომისარიატების მუშაობის შესახებ.

○

კიევი, 28 ივლისი (საკდესი). დღეს შესდგა უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის საბოლოო სხდომა.

სესია იწყებს მთავრობის—უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შედგენას.

დეპუტატ დ. ს. კოროტჩენკოს უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვს უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა.

სესია ერთხმად ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას. უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ერთსულოვნად არის დამტკიცებული ამხ. დ. ს. კოროტჩენკო.

სესიას მიესალმნენ უკრაინის დედაქალაქის მუშა-მოსამსახურეთა და კიევის ოლქის კოლმეურნეთა დელეგაციები. კამენეც - პოდოლსკის, ვინიცის, ჟიტომირის მაზაზღვრე ოლქებისა და მოლდავეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეთა დელეგაციები, საბჭოთა ინტელიგენციის — ქალაქ კიევის აკადემიკოსების, ხელოვნების მუშაკების, ექიმების, მწერლების დელეგაცია.

განსაკუთრებით გულთბილად ხვდებიან დეპუტატები მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებს.

უკრაინის სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბურმისტენკო აცხადებს, რომ სესიის დღის წესრიგი ამოწურულია, იგი აღნიშნავს, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხზე უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი და დამთავრებულად აცხადებს უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე

მინსკი, 27 ივლისი (საკდესი). დღეს საღამოს სხდომაზე ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ განიხილა საკითხი დეპუტატებისათვის დეპუტატის მოვალეობათა აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. ამავე სხდომაზე შესდგა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნები.

დეპუტატებისათვის დეპუტატის მოვალეობათა აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სესია შეუდგა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევნებს.

სესიამ ერთხმად აირჩია ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ნ. ი. ნატალევიჩი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან დეპუტატები ს. პ. მელნიკოვი და ს. ი. მალცევი.

○

მინსკი, 28 ივლისი (საკდესი). დღეს, ხსნიდა რა ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დილის სხდომას, ამხ. ნ. გ. გრეკმა გამოაქვეყნა მის სახელზე შემოსული ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ა. ფ. კოცაროვის განცხადება იმის შესახებ, რომ ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭო ამოწურულად სთვლის თავის ვალდებულებებს და თავის რწმუნებებს იხსნის ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

სიტყვას იღებს დეპუტატი ს. პ. მელნიკოვი. თავის სიტყვაში ის ჩერდება რესპუბლიკის ზოგიერთი სახალხო კომისარიატის მოღალატეობაზე. ლაპარაკობს რა ბელორუსიის სსრ მიწათმოქმედების კომისარიატის მუშაობის შესახებ, იგი აღნიშნავს რომ იქ ძლიერ ნელი ტემპებით ხდება მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია: სწორი თესლბრუნვის შემოღების გეგმა იფუშება, ძლიერ არეულდარეულია მიწათმოწყობის საქმე, არ არის გაშლილი ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

გადავიდა რა ბელორუსიის სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობაზე და პირადად სახალხო კომისრის ამხ. შავროვის მუშაობაზე, დეპუტატმა მელნიკოვმა აღნიშნა ვაჭრობის ცუდი ორგანიზება გემოიანი საჭონლით და ისეთი საჭონლითაც კი, როგორიცაა ასანთი, წყალი, ავეჯი და სხვ.

აღნიშნა რა ეს ნაკლოვანებები, დეპუტატი მელნიკოვი სთხოვს უმაღლეს საბჭოს მხედველობაში მიიღოს იგი ბელორუსიის სსრ მთავრობის შედგენის დროს.

დეპუტატ ა. დ. ბრიკოვის წინადადებით, ბელორუსიის სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად გამოუცხადა ნდობა ბელორუსიის სსრ სახკომსაბჭოს და მიანდო დეპუტატს კ. ვ. კისილიოვს ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოუდგინოს წინადადებანი სახკომსაბჭოს შემადგენლობის შესახებ.

შემდეგ ამხ. შჩერბაკოვი აკრიტიკებს უკრაინის სსრ ზოგიერთი სახალხო კომისარიატის მუშაობას. იგი ლაპარაკობს კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატისა და მისი სახალხო კომისრის ამხ. ზადოროჟნის სრულიად არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. მთავრობა უდიდეს სახსრებს აბანდებს ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობის საქმეში, მაგრამ სახალხო კომისარიატის ცუდი მუშაობის შედეგად ამ სახსრებს ხშირად ისე არ იყენებენ, როგორც საჭიროა.

დეპუტატი ამხ. შჩერბაკოვი აკრიტიკებს აგრეთვე უკრაინის სსრ განსახკომს და მის სახალხო კომისარს ამხ. ხომენკოს, რომელმაც ვერ შესძლო ბოლშევიკური ხელმძღვანელობა გაეწია სახალხო განათლების საქმისთვის.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი ამხ. ოსიპოვი, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მუშაობა. მან აღნიშნა აგრეთვე დიდი დეფექტები უკრაინის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობაში.

უკრაინის სსრ მიწსახკომის ცუდ მუშაობაზე თავის გამოსვლაში ილაპარაკა დეპუტატმა ამხ. ს. ბ. ზადონენკომ. დეპუტატმა ამხ. ვ. ნ. ბოროსვმა გააკრიტიკა უკრაინის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მუშაობა, დეპუტატმა ამხ. ი. მ. ფილიპოვმა—მუშაობა სსრკ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა უკრაინაში.

დეპუტატ ამხ. პ. ი. სტარიგინის წინადადებით, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია ერთსულოვნად უცხადებს ნდობას უკრაინის სსრ სახკომსაბჭოს და დეპუტატ გ. ს. კოროტჩენკოს ავალებს სესიას განსახილველად წარმოუდგინოს წინადადებანი სახკომსაბჭოს შემადგენლობის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღოს დეპუტატთა კრიტიკული შენიშვნები ცალკეულ სახალხო კომისარიატების მუშაობის შესახებ.

○

კიევი, 28 ივლისი (საკდესი). დღეს შესდგა უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის საბოლოო სხდომა.

სესია იწყებს მთავრობის—უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შედგენას.

დეპუტატ დ. ს. კოროტჩენკოს უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვს უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შემადგენლობა.

სესია ერთხმად ამტკიცებს მთავრობის შემადგენლობას. უკრაინის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ერთსულოვნად არის დამტკიცებული ამხ. დ. ს. კოროტჩენკო.

სესიას მიესალმნენ უკრაინის დედაქალაქის მუშა-მოსამსახურეთა და კიევის ოლქის კოლმეურნეთა დელეგაციები. კამენეც - პოდოლსკის, ვინიცის, ჟიტომირის მაზაზღვრე ოლქებისა და მოლდავეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეთა დელეგაციები, საბჭოთა ინტელიგენციის — ქალაქ კიევის აკადემიკოსების, ხელოვნების მუშაკების, ექიმების, მწერლების დელეგაცია.

განსაკუთრებით გულთბილად ხვდებიან დეპუტატები მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებს.

უკრაინის სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბურმისტენკო აცხადებს, რომ სესიის დღის წესრიგი ამოწურულია, იგი აღნიშნავს, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხზე უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი და დამთავრებულად აცხადებს უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიას.

ჩეხოსლოვაკიის სასპორტო დელეგაცია ლენინგრადს გაემგზავრა

28 ივლისს ღამით ჩეხოსლოვაკიის სასპორტო დელეგაცია, რომელმაც მოსკოვში რამდენიმე დღე დაჰყო, ლენინგრადს გაემგზავრა. იქიდან ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები სამშობლოში ბრუნდებიან. როდესაც დედაქალაქს სტოვებდა, დელეგაციის ხელმძღვანელმა პროფესორმა რუდოლფ პელიკანმა საკდესის თანამშრომელთან საუბარში სთქვა:

მოსკოვში გატარებული დღეები დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში. განსაკუთრებით გვახარებს თქვენი დედაქალაქის გრანდიოზული მშენებლობა.

ჩვენ საკმაო დაწვრილებით გავეცანით სასპორტო მუშაობის საქმის დაყენებას მოსკოვის საზოგადოებაში. ვიყავით ფიზიკური კულტურის სამეცნიერო - საკვლევ ინსტიტუტში, სტადიონებსა და სკოლებში. ვეცდებით შევიტანოთ ჩვენს მუშაობაში ყოველივე ის ახალი და სასარგებლო, რაც მოსკოვში ყოფნის დროს გავივგეთ. მე დავესწარი ფეხბურთის რამდენიმე მატჩს და უნდა აღვნიშნო, რომ თქვენი გუნდები ჩინებულად არიან გაწვრთვნილი. საბჭოთა ფეხბურთელები ევროპული კლასის მოთამაშეები არიან.

ვლაპარაკობ რა მოსკოვისა და პრაღის ფეხბურთელთა შესაძლებელი შეხვედრების შესახებ, იმედს გამოვთქვამ, რომ ასეთი შეხვედრები უახლოეს ხანში დაიწყოს. იმედი მაქვს, რომ ეს მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოხდება.

ეტოვებ რა საბჭოთა კავშირის დედაქალაქს, ჩვენს საუკეთესო სურვილებს გადავცემ მოსკოვის სპორტსმენებს, რომლებმაც ასე გულთბილად და გულუხვად მიგვიღეს.

(საკდესი).

სსრ კავშირის ორდენების ჩაბარება

27 ივლისს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა პრეზიდიუმის მთელი რიგი წევრების თანდასწრებით ორდენები ჩაბარა წითელი არმიის მეთაურებს, რომელნიც დაჯილდოებული არიან დიდი წარმატებებისათვის საბრძოლო, პოლიტიკურ და ტექნიკურ მომზადებაში.

ლენინის ორდენები ჩაბარდა კორპუსის მეთაურს ამხ. ეფრემოვს, დივიზიის მეთაურს ამხ. სმირნოვს, კაპიტნებს ამხ. ზლიგოსტევს, ნეჩაევს, ტიმოხინს.

დაჯილდოებულთა შორის არიან—კორპუსის მეთაური ამხ. კონევი, ბრიგადის მეთაური ამხ. ფომენკო, უმცროსი მეთაურები ამხ. ავაკოვი, ბრაგანცოვი და სხვები.

მოკლე სიტყვით გამოვიდა კორპუსის მეთაური მ. გ. ეფრემოვი, რომელმაც უღრმესი მადლობა გადასცა საბჭოთა მთავრობას.

ორდენები ჩაბარდა აგრეთვე მილიციის მთელ რიგ მუშაკებს, უმცროს მეთაურს პ. დ. აბისოვს, რომელიც დაჯილდოებულია — სიმამაცისა და თავგანწირულებისათვის საბჭოთა სახღვრების დაცვის დროს, და სხვებს. ამხ. მ. ი. კალინინმა ახალი წარმატებანი უსურვა დაჯილდოებულთ მათს შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში. (საკდესი).

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1938 წ. 26 ივლისს.

ბრძანება

სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსი

ი. საუტინი

1. მოეწყოს ქ. მოსკოვში, რესპუბლიკურ და საოლქო ცენტრებში მოკლევადიანი კურსების გავლა და ცოდნის შემოწმება მოსახლეობის აღწერის საკითხებში:

ა) მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოთა უფროსებისათვის და მოსახლეობის აღწერის ბიუროების უფროსებისათვის — ამ სამუშაოს დამთავრებით არაუგვიანეს 1938 წლის 10 სექტემბრისა.

ბ) სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო, სარაიონო და საუბნო ინსპექტორებისათვის — ამ სამუშაოს დამთავრებით არაუგვიანეს 1938 წლის 1 ნოემბრისა.

გ) სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საქალაქო და სარაიონო ინსპექტორების თანაშემწეებისა და საველო განყოფილებათა გამგეებისათვის, რომელნიც სახალხო მეურნეობის აღრიცხვის საუბნო ინსპექტორები არ არიან,—ამ სამუშაოს დამთავრებით არაუგვიანეს 1938 წლის 20 ნოემბრისა.

2. მუშაკების ინსტრუქტირება და ცოდნის შემოწმება ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) საველო განყოფილებათა გამგეების თანაშემწეებისა — 1938 წლის 1 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე.

ბ) ინსტრუქტორ - კონტროლიორებისა და აღმწერებისა — 1938 წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე.

სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს უფროსი

ი. საუტინი

მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა

რკინიგზელთა დიად სტალინურ ღღეს — 30 ივლისს თბილისში მეორე, ფრიად საინტერესო თარიღი ემთხვევა. დღეს მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა ზეიმობს თავისი არსებობის სამი წლისთავს.

ეს რკინიგზა აგებული და მოწყობილია თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის ინიციატივით ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

პირველად 1935 წლის 24 ივლისს მოახდინა თავისი პირველი რეისი ნორჩი ხელებით გაკეთებულმა პატარა ორთქლმავალმა სამი ასეთივე პატარა ვაგონით, რომელთაც ნორჩი რკინიგზელები მართავდნენ.

პირველად საბავშვო რკინიგზის სიგრძე 400 მეტრს უდრიდა. შემდეგ პარკში აგებულ ორ სადგურს „პიონერთულსა“ და „სასიხარულოს“ შორის რეგულარულად დაიწყო საბავშვო მატარებლების მიმოსვლა. პირველ წელიწადს გზამ 105.000 მგზავრი გადაიყვანა. მეორე წელიწადს—96.800, მესამეს—108.200 და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში — 108.000. სულ—418.600.

დღეს თბილისის საბავშვო რკინიგზის სიგრძე კილომეტრს აღწევს, მეორე რიგის გზა მეაბრეშუმეობის სადგურის ტერიტორიაზე გადის, და ორ მატარებელს, რომელთაგან ერთს ცისფერ ექსპრესს უწოდებენ, რეგულარულად გადაჰყავს ნორჩი მგზავრები. ორთქლმავალს მოტომავალიც დაეხმარა.

გაიზარდა ნორჩ რკინიგზელთა რიცხვი—მეორე რიგის აშენებამდე 320 იყო, ახლა 780-ს აღწევს.

ახალი ხაზის გაყვანასთან ერთად აიგო მესამე სადგური „მზიური“.

საბავშვო რკინიგზა სატრანსპორტო კადრების ნამდვილი სამჭედლოა. მისი მუშაკებს, რომლებიც საკმეს გაცნობილი არიან, ალარ უძნელდებათ სატრანსპორტო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა.

რკინიგზას თავისი სამმართველო აქვს. საბავშვო რკინიგზის უფროსია რკინიგზის V სკოლის IX კლასის მოწაფე ოლეგ გულულოვი, მისი მოადგილეა სერგო დათუაშვილი, იმავე სკოლის VIII კლასის მოწაფე, გზის უფროსი მასობრივი მუშაობის დარგში გუშტავ აიზენბერგი—მე-42 სკოლის მოწაფე, მისი მოადგილეა სო

სტალინურ ქვეყანას მძლავრი სოციალისტური ტრანსპორტი!

თბილისის ორთქლმავალთა დეპოს მორიგე ამხ. მ. ი. ხატიშვილი (სურ. ვ. ვ. (ბ) წევრი), რომელმაც ორთქლმავლის გამოსაწყობად საჭირო დრო—1 საათი და 40 წუთი,—შეამცირა 35-40 წუთამდე.

★

თბილისის რკინიგზის განყოფილების საუკეთესო დისპეტჩერი ამხ. ზ. ე. დათაშვილი მუშაობის დროს სელექტორთან.

★

თბილისის სავაგონო დეპოს სტახანოველი გამზეთავი ამხ. ზ. ი. შარიფაშვილი უზრუნველჰყოფს ბუქსების მაღალხარისხოვან შოლას და არა აქვს წუნი მუშაობაში.

★



თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სტახანოველი ზენიკალი ამხ. ა. ლისენკო საწარმოო დავალებებს სისტემატურად ასრულებს 168 პროცენტით.

გამარჯვებულნი ხვდებიან რკინიგზელთა დღეს

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხანა რკინიგზელთა დღეს გამარჯვებული ხვდება. ქარხნის სამქროებმა გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს და რაც მთავარია, გამრავლდა სტახანოველთა რიგები, გაიზარდა ხელკორდსმენთა რიცხვი, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ნაცვლად 28-ისა 33 ორთქლმავლის შეკეთება.

რკინიგზელთა დღესთან დაკავშირებით ქარხნის სტახანოველებმა აიღეს ახალი ვალდებულებანი, რომლებიც წარმატებით გაანაღდეს. ავტომუხრუჭების ამწყობმა ელ. კაპიანაძემ რკინიგზელთა დღესასწაულს სამი რეკორდი უძღვნა. უკანასკნელად მან 26 ივლისს დაამყარა რეკორდი, დღიური გეგმა 1.466 პროცენტით შეასრულა და ნაცვლად 6-ისა 100 მანეთი გამოიმუშავა. ორდენოსანმა ა. როდიონოვამ 27 ივლისის გეგმა 614 პროცენტით შეასრულა, ხარატმა მიხ. მონასელიძემ 714-ით, მიხ. ვანაძემ—696-ით.

ელექტროშემდუღებელმა ზ. ნადირაძემ კვირას გადააჭარბა — ორთქლმავალის სადგუშე კოლოფის შედუღების ნორმა 1525 პროცენტით შეასრულა და ნაცვლად 22 მანეთისა 343 მანეთი გამოიმუშავა.

○

ბათუმის საქვაგონო დეპოს და სალიანდაგო დარგის პირველი დისტანციის მუშაკები ენერგიულად იბრძვიან გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. სალიანდაგო დარგის პირველმა დისტანციამ ჯუმათში ხიდის მშენებლობა ნაცვლად 30-ისა 26 ივლისისათვის დაამთავრა. ასევე ვადამდე შეაკეთეს ნატანებახარაძის რკინიგზის შტო. ამ სამუშაოთა შესრულებაში თავი ისახელეს სტახანოველებმა პ. ღლონტმა, დ. ებრალიძემ და სხვ.

ბათუმის სავაგონო დეპოს მუშაკებმა ნაცვლად 120-ისა 127 ვაგონი შეაკეთეს. ამ წარმატებას მათ მიაღწიეს ბრიგადებში სოცშეჯიბრების გაშლისა და სტახანოვური მეთოდების გამოყენებით.

ნავთლუღის კვანძზე

ნავთლუღელები რკინიგზელთა საქავშირო დღეს — 30 ივლისს ღირსეულად შეხვდნენ.

მე-7 სალიანდაგო დისტანციის პირველი საოსტატოს გზის ოსტატის ამხ. ალ. ჭყოვრელის ბრიგადამ გეგმა ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულა. ორი ისრის გადამყვანის გამოცვლაზე მან 26 კაცის ნაცვლად მხოლოდ 16 ამუშავა და დავალება სანიმუშოდ შეასრულა. ბრიგადაში თავი ისახელეს სტახანოველებმა: ვ. ჯანეზაშვილმა, მ. სოლოღაშვილმა, ქ. აფხაზაშვილმა და სხვ.

ასეთივე მიღწევებით შეხვდა 30 ივლისს ამავე დისტანციის მეორე საოსტატოს გზის ოსტატის გ. სხილაძის ბრიგადა, რომელმაც გეგმა ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულა და სამი ისრის გადამყვანი გამოსცვალა. ბრიგადის მუშაობაში გამოირჩეოდნენ სტახანოველები კომკავშირელი გ. მაზმიშვილი, სტ. უმურკო, გამცილებელი ოსტატი ს. მეზვრიშვილი და სხვ.

სადგურის მუშებიდან გეგმები ვადაზე შეასრულეს სტახანოველებმა: გ. ცისკარიშვილმა, ევ. გაბუნიამ, ბ. ქვრივიშვილმა, დ. მჭედლიშვილმა და სხვ.

„ჩვენი დიდი სარკინიგზო სახელმწიფო ღირსია და მოითხოვს ჩვენგან, რკინიგზელებისაგან იმას, რომ „ტრანსპორტი იყოს მკაფიოდ მოქმედი, გამართულად მომძრედი, საათის მექანიზმივით ზუსტი კონვეიერი“.

ლ. კაგანოვიჩი.

★

„რკინიგზელთა კოლექტივმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ განამტკიცოს მუშაობაში მიღწეული წარმატებები და მიაღწიოს ვაგონების მიმოქცევის სისწრაფის შემდგომ გადიდებას, მათი გაცდენის შემცირებას, მატარებელთა მოძრაობის გაუმჯობესებას და, რაც მთავარია, უავარიოდ და უწუნოდ მუშაობას“.

ლ. ბერია.

ორთქლმავლის ოსტატები

მაშინაც კი, როცა თბილისს სძინავს, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის საამქროებში შრომის რიტმი არ სწყდება. ჩვენი ქალაქის ათეულობით ასეული საუკეთესო ადამიანები დამკვლევებული უვლიან გოლიათ ორთქლმავლებს, ზრდიან ორთქლმავლების პარკს.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის საამწყობო საამქროში ბევრი არიან ისეთები, რომელნიც ენტუზიაზმით იბრძვიან ტრანსპორტის გარდასაქმნელად, გვიჩვენებენ შრომის მაღალ ნიმუშებს.

მავნებლებმა, ხალხის მტრებმა ცოტა რამ კი არ მოიმოქმედეს იმისათვის, რომ ჩაეშალათ ორთქლმავლების რემონტის პასუხსაგები საქმე. ისინი აფერხებდნენ სტახანოველთა რიგების ზრდას, ეღობებოდნენ მასების ენტუზიაზმს, გვმტრობდნენ, მავნებლობდნენ.

— წინათ მავნებლური ხელმძღვანელობის შედეგად განზრახ ცუდად იყო შედგენილი საამქროს საწარმოო გეგმა, — აცხადებს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ნიკო გეჯაძე, — სტახანოველებს ერთ ადგილზე არ გვამაგრებდნენ, სამუშაოს გვირეცდნენ, გვაცდენდნენ.

ასეთი „ხელმძღვანელობით“ ქარხანა გარღვევიდან ვერ გამოდიოდა, თვეში 17 ორთქლმავალს გაჭირვებით უშვებდა რემონტიდან.

ამჟამად საამწყობო საამქროს მუშათა კოლექტივში ყოველდღიურად იზრდება სტახანოველთა რიცხვი, სტახანოვური ბრიგადები.

საამწყობო საამქრო სამართლიანად ამაყობს დევსურაშვილის, მაისურაძის, ხიდაშელის, გეჯაძის, ზიბროვის, ზუბიევის და სხვათა ბრიგადებით, რომლებიც საწარმოო გეგმების შესრულების ბრწყინვალე მაჩვენებლებს იძლევიან.

ნ. გეჯაძის ბრიგადაში 7 კაცია, შვიდივე ორთქლმავლის შეკეთების საუკეთესო ოსტატებია. ისინი გულისყურით ეკიდებიან საამქროში შემოსულ ავადმყოფ ორთქლმავლებს, მათ მიერ შეკეთებული ორთქლმავალი ყოველთვის მაღალი ხარისხისაა.

ნ. გეჯაძის ბრიგადის ღირსეულ თანამებრძოლია კ. ზუბაროვის ბრიგადა. ბრიგადაში ზუბაროვის შვილი ვასილიც მუშაობს. მას შეჯიბრებაში მამა გამოუწვევია და არცთუ უშედეგოდ.

კომუნისტ ზ. ზუბიევის ბრიგადა ორთქლმავლის ჩარჩოების შეკეთებაზე მუშაობს, გეგმას 260 პროცენტით ასრულებს.

საუცხოო მაჩვენებლებს მიაღწიეს საამწყობო საამქროს ბრიგადებმა: გეჯაძის ბრიგადას გეგმით 9 ორთქლმავლის შეკეთება ევალა, მან კი 13 გამოუშვა, ზიბროვმა 10-ის მაგიერ —12, ზუბიევი ერთი წლის წინათ 5 ორთქლმავალსაც ვერ აუდიოდა, ახლა 11-ს ერევა.

როგორ მიაღწიეს ამას საამწყობო საამქროს სტახანოველებმა?

პირველ ყოვლისა, იმით, რომ აღმოფხვრეს მავნებლობის შედეგები, შემოიღეს მუშაობის კომპლექსური მეთოდი, სტახანოველები მიამაგრეს ორთქლმავლის განსაზღვრულ ნაწილებს, ასწიეს სტახანოველთა ტექნიკური ცოდნა, გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.

წინათ ხშირი იყო რემონტიდან გამოსული ორთქლმავლების ვადაზე ადრე უკან დაბრუნება, ამჟამად ასეთ მოვლენებს ადგილი აღარა აქვს. საამწყობო საამქროდან გამოსული ორთქლმავლები ნორმით გათვალისწინებული გარბენის კილომეტრაჟს მთლიანად ასრულებენ.

სიამაყის გრძნობით ხვდებიან რკინიგზელთა საკავშირო დღეს საამწყობო საამქროს სტახანოველები, დამკვრელები, მუშები. შეუძლიათ კიდეც იამაყონ: ნახევარი წლის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შესრულეს.

ო. ეგაძე

თბილისის სავაგონო დეპოში

თბილისის სავაგონო დეპოში სტახანოველთა სპატიო დაფაზე ყოველ საღამოს ახალ-ახალი გვარები იწერება. ბრიგადებმა გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.

ამ სახელოვანი დღესასწაულის მაღალი მაჩვენებლებით შესახვედრად დეპოში წინასწარ გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა. 27 ივლისს ჩატარდა დეპოს პარტორგანიზაციის ღია კრება, რომელზეც მოსმენილი იქნა პარტკომის მდივნის ამხ. ი. ლეღლაშვილის მოხსენება.

მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი და მეორე დღესვე გაანაღდეს ისინი. სტახანოველმა ზეინკალმა ნ. ულიბინმა კრებას აღუთქვა, რომ ვაგონის 8 სახელურის ნაცვლად ყოველდღიურად გააკეთებდა 12-16-ს. ეს ვალდებულება მან პირნათლად შეასრულა. ვაგონების შემკეთებელმა მუშამ ამხ. დ. ჭეხაშვილმა ხუთის ნაცვლად 12 ვაგონი შეაკეთა. კომკავშირელმა ხარატმა ამხ. გულოიანმა გეგმა 300 პროცენტით შეასრულა.

დეპოელთა სიტყვა და საქმე

რკინიგზელთა სტალინურ დღეს თბილისის საორთქლმავლო დეპოს კრიონოსელი მემანქანეები გამარჯვებულნი შეხვდნენ. მათ განაპირობა ის, რომ ორივე მოძრაობის ფრონტზე ისინი ბრძოლის პირველ რიგებში იმყოფებოდნენ. დეპოს კრიონოსელმა მემანქანემ ლევან ობოლაშვილმა პირველმა აიღო რაიონული სვლის ინიციატივა და შემდეგ თავისი მდიდარი გამოცდილება სხვა მემანქანეებსაც გაუზიარა. დეპოს მუშაკთა თათბირზე მან დაწვრილებით ილაპარაკა რაიონული სვლის მნიშვნელობასა და მუშაობის საკუთარ მეთოდებზე, შემდეგ კი იკისრა საესტაფეტო მატარებლის წაყვანა.

საესტაფეტო მატარებელმა დიდად აღაფრთოვანა რკინიგზელები. ნავთლუღის კვანძის მუშაკებმა 4 საათის ნაცვლად საათნახევარში გაამზადეს შემადგენლობა. ესტაფეტა აქსტაფამდე გააცილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ა. წიკლაურმა.

ლევან ობოლაშვილმა მატარებლის ტექნიკური სისწრაფე საათში გათვალისწინებული 39,4 კილომეტრის ნაცვლად 51,1-მდე აიყვანა. გარდა ამისა, ამხ. ობოლაშვილმა ფოილო-შაქარლის გადასარბენის აღმართი ისე გაიარა, რომ მიმწოლი ორთქლმავალი არ მოუთხოვია. საესტაფეტო მატარებელმა ამიერ-კავკასიის რკინიგზა გაიარა გათვალისწინებულზე 6 საათით ნაკლებ დროში. ამხ. ობოლაშვილის მეთოდებს ენერგიულად იყენებენ დეპოს სხვა მემანქანეები. მემანქანეებს დ. ტაბატაძეს და ლ. ზერაძეს მატარებლები ისე დაჰყავთ, რომ მიმწოლი ორთქლმავლები აღარ სჭირდებათ.

დღეს, 30 ივლისს,—რკინიგზელთა სტალინურ დღეს — მოსკოველმა მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს ამიერ-კავკასიის რკინიგზელებისაგან. საესტაფეტო მატარებელმა მათ ჩაუტანა დიდძალი ატამი, ალუბალი, ვაშლი, მსხალი და სხვა ხილეული.

ს. გლიაძე

იმუშავეს, გაიმარჯვეს

თბილისის სატვირთო სადგურიც არ ჩამორჩენია იმ დიდ სამზადისს, რომელიც რკინიგზელებმა გაშალეს 30 ივლისის დღესთან დაკავშირებით. ცვლათა კრებებზე როჯორც მუშებმა, ისე ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა აიღეს ვალდებულება, რათა 30 ივლისს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვედროდნენ.

15 დღე გავიდა, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან სტახანოველ ბრიგადირ გ. თითირაშვილისა და ა. კალანდაძის ბრიგადები. ნორმით თვითეულს 16 ტონა ტვირთი უნდა გადაემუშავებინა, ფაქტიურად კი მიაღწიეს 32 ტონას.

კომკავშირის 20 წლისთავის სახელობის კომკავშირულმა ბრიგადამ (ბრიგადირი—ამხ. მ. სიხარულიძე) იკისრა ვალდებულება გადაემუშავებინა 28 ტონა ტვირთი. 27 ივლისს მან 25 ტონა ტვირთი გადაამუშავა. ხოლო 30 ივლისისათვის—ნაკისრი 28 ტონა.

პოსტის მორიგემ შ. რთველიაშვილმა ნაკისრი ვალდებულება მთლიანად გაანაღდა — სავსებით აღმოფხვრა სემაფორთან მატარებლის გაჩერების შემთხვევები.



ხაშურის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელობის ელმავალთა დეპოს მემანქანემ ამხ. ტატიშვილმა რკინიგზელთა სრულიად-საკავშირო დღის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა გადავიდეს რგოლურ სვლაზე და აღკვეთოს წუნი.

სურათზე: ამხ. დ. კ. ტატიშვილი და მისი თანამშრომ. ამხ. მიქაშვილი თავის ელმავალთან.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

თბილისის დეპოს კომკავშირელთა ორთქლმავლის № 9788 ბრიგადამ ვალდებულება იკისრა გაიაროს 10 ათასი კილომეტრი მანძილი შეკეთების გარეშე.

სურათზე: კომკავშირელი მემანქანე ამხ. მ. ლონდაძე და მისი თანამშრომ. ამხ. ს. ქურდიძე თავის ორთქლმავალთან.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

გავაძლიეროთ ჩაის ფოთლის კრეფის ჯემპები

მახარაძე, (საქდესი). რაიონის შვიდმა კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის ივლისის გეგმა. შუბახვის კოლმეურნეობამ ივლისში 16.227 კილოგრამის ნაცვლად 24 ივლისისათვის მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 20.144,2 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ჭალის კოლმეურნეობამ თვიური გეგმა 145,2 პროცენტით შეასრულა, წითელ-მთის კოლმეურნეობამ—136,5-ით, ფამფალეთისამ—121,9-ით, გარედაბზუს კოლმეურნეობამ — 109,1-ით, ვაკიჯვრისამ — 106,7 პროცენტით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაიონი ჩაის კრეფაში ჩამორჩება. 25 რიცხვისათვის ჩაის კრეფის ივლისის გეგმა შესრულებული იყო 64,4 პროცენტით.

ჩაის კრეფის რაიონული გეგმის შესრულებაზე გაელენას ახდენს ისეთ დიდ კოლმეურნეობათა ჩამორჩენა, როგორიცაა ძიმითისა და ექვდიის კოლმეურნეობები. ძიმითში 170.797 კილოგრამიდან მოჰკრიფეს 67.132,2 კილოგრამი, თვიური გეგმის 39,2 პროცენტი, ექვდიის კოლმეურნეობას კი 31.368 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილი აქვს 15.452,2 კილოგრამი ჩაის ფოთოლი (გეგმის 48,8 პროცენტი).

ლაითურის საბჭოთა მეურნეობას 24 ივლისისათვის გეგმა შესრულებული ჰქონდა 54,4 პროცენტით, ხოლო ნასაკარალისას 58,4 პროცენტით.

ეს მეურნეობები 20 ივლისიდან შეუდგნენ მთელი მუშა-ხელის გადაყვანას ჩაის ფოთლის განუწყვეტელ კრეფაზე და ჩაის კრეფის ივლისის გეგმის დაყვანას ბრიგადამდე, ჯგუფამდე და თვითეულ მკრეფავამდე.

ლენვას აჭიანურებენ

(ბოლნისი)

რაიონის დაბალი ზონის კოლმეურნეობებში მოსავლის აღება უკვე დაიწყო. თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებულია 138 ჰექტარზე, რაც გეგმის 6 პროცენტს შეადგენს. მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ რაიმიწგანისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების არა კონკრეტული მუშაობის გამო აღებული მოსავალი დღემდე არ არის გალეწილი სოფ. ჯობისხევის, ზორეთისა და ქვაბისხევის კოლმეურნეობებში. ამ მდგომარეობას ყურადღებას არავინ აქცევს.

ყურადღება არ ექცევა აგრეთვე მოსავლის აღებისათვის საჭირო სას. სამ. მანქანა-იარაღების შეკეთებას. 6 შესაკეთებელი სალეწი მანქანიდან შეკეთებულია მხოლოდ 3. სოფ. ტაბაწყურისა და გუჯარეთის კოლმეურნეობათა სალეწი მანქანები უზრუნველყოფილი არ არის დღედებით, რის გამო ლეწვა ჩაშლის საფრთხეშია. გუჯარეთის კოლმეურნეობაში მანქანას აკლია შკივი. დამთავრებული არ არის წვრილი ინვენტარის რემონტი. ტრაქტორს არა აქვს საწვავი მასალა და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ქერის, ხორბლისა და კარტოფილის ნათესების აპრობაცია. დასახელებულ კულტურათა აპრობაცია რაიონში უნდა ჩატარდეს 449 ჰექტარზე. ჯერჯერობით კი ეს სამუშაო მხოლოდ 80 ჰექტარზეა ჩატარებული.

აპრობაციის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენილია დვირის სასოფლო საბჭო, სადაც აგროტექნიკოსი სამთელაძე ოთქმის სრულიად არაფერს აკეთებს.

ბრ. ლომიძე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

..რაგომ ჩამორჩა ხაშურის რაიონი მოსავლის აღებაში

„კომუნისტის“ 26 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი „რატომ ჩამორჩა ხაშურის რაიონი მოსავლის აღებაში“. საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. ირ. ღუდუშაური გვატყობინებს, რომ მიღებული ზომების მეოხებით, რაიონში მოსავლის აღება ამჟამად დამთავრებულია, გარდა მთაგორიანი ადგილებისა.

წერილში აღნიშნული იყო, სადაც მარცვლეულის აღება ხელით ხდება, მომკილ პურს ძნებად არ ჰკრავენო. ამას მხოლოდ მცირედი გამონაკლისის სახით ჰქონდა ადგილი. მთელი რიგი ღონისძიებების გატარების შედეგად კოლმეურნეობათა ბეღლების 90 პროცენტი მომზადდა მარცვლეულის მისაღებად, დანარჩენისათვის გამოყოფილია სპეციალური შენობები, რადგან ზოგიერთ ბეღელში ძნელი გახდა მავნებლების მთლიანად მოსპობა, მიუხედავად მიღებული ზომებისა.

ბ. არუთინოვი
ა.-კ. რკინიგზის უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

რკინიგზის ტრანსპორტის სტალინური დღე

დღეს სოციალისტური რკინიგზის ტრანსპორტის დღესასწაულია. მესამე წელია, რაც დიდი საბჭოთა კავშირის რკინიგზელთა მილიონიანი არმია ზეიმობს თავისი პირველი ისტორიული გამარჯვების ამ ტრადიციულ დღეს და მას საწარმოო ენტუზიაზმის ახალი აზვირთებით ხვდება.

როგორც ცნობილია, ტრანსპორტი 1935 წლამდე სამარცხვინოდ მუშაობდა. იგი ითვლებოდა „ვიწრო ადგილად“, რომელიც აფერხებდა ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარებას.

1935 წლის მარტიდან, როდესაც პარტიამ ტრანსპორტზე სტალინური სახკომი ლ. მ. კაგანოვიჩი გაჰგზავნა, ტრანსპორტის მუშაობაშიც მკვეთრი გარდატეხა მოხდა, გაიშალა ბოლშევიკური ბრძოლა მისი გარღვევებიდან გამოყვანისათვის.

ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით რკინიგზელთა დიდი არმიის საუკეთესო ადამიანებმა იწყეს ბოლშევიკური წესრიგის დამყარება ტრანსპორტზე, გაიშალა ბრძოლა დისციპლინისათვის, გამომჟღავნებულ იქნენ მეზღვარენი, დაიწყო აღგვა ყველა იმისა, რაც ხელს უშლიდა და აფერხებდა ტრანსპორტის აღმავლობას.

უდიდესი როლი შეასრულა ტრანსპორტის აღმავლობის საქმეში ზღვარულობის იმ „თეორიის“ გამომჟღავნებამ და განადგურებამ, რომელსაც ბევრი რკინიგზელის აზრი ჰქონდა დაპყრობილი. ზღვარულობის „თეორიის“ განადგურებამ გარდაჭრა ბევრი რკინიგზელი, დაიწყო ახალი ეტაპი სტახანოვურ-კრიონოსული მოძრაობის ძლევამოსილი განვითარებისათვის.

ზღვარულობის „თეორიით“ საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები და დივერსანტები, იმპერიალისტების დახმარებით, ცდილობდნენ წაერთმიათ საბჭოთა ხალხისათვის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი. სახელოვანმა სტალინურმა სახკომმა ლ. მ. კაგანოვიჩმა ჩვენი დიადი ბოლშევიკური პარტიის დახმარებით დაანგრია მტრული ბუდეები ჯაშუშებისა და დივერსანტებისა, რომლებიც დიდხანს მოქმედებდნენ ტრანსპორტზე. ამ ბრძოლაში რკინიგზელები საყვარელი სახკომის მეთაურობით გამოვიდნენ უფრო მეტად განმტკიცებულნი, უფრო მეტად გაძლიერდა რევოლუციური სიფხიზლე, მზადყოფნა მავნებლობის შედეგების უფრო სწრაფი ლიკვიდაციისათვის, ტრანსპორტის ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. საყვარელმა სახკომმა შეამჩნიდროვა რკინიგზელები ერთ მთლიან ოჯახში. რკინიგზელებმა იგრძნეს სტალინური ზრუნვა ადამიანზე, ისინი აღიგზნენ სტალინური განსწავლისათვის საბრძოლველად. რკინიგზელებმა დაამტკიცეს, რომ ტრანსპორტს უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვება.

30 ივლისი—ღირსშესანიშნავი ისტორიული დღეა რკინიგზელთა არმიის ცხოვრებაში. 3 წლის წინათ ამ ისტორიულ დღეს რკინიგზელები კრემლში შეხვდნენ დიდ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. მრავალი წლების მანძილზე, რკინიგზელები პირველად წარსდგნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინაშე გამარჯვებულნი. ეს გამარჯვება მიღწეულ იქნა გამძაფრებულ ბრძოლაში მეზღვარეებთან, უნიათობასთან.

ხალხთა ბელადმა, რევოლუციის ლოკომოტივის მემანქანემ—დიდმა სტალინმა რკინიგზელებს გადაუშალა ბრძოლის ბოლშევიკური პროგრამა ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისა, სახალხო მეურნეობის ქონწინავე დარგად მისი გადაქცევისათვის. ბელადმა წარმოსთქვა გენიალური სიტყვა, რომელშიაც საბჭოთა კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის მნიშვნელობა განსაკუთრებულ სიმაღლეზე ასწია.

რკინიგზელთა სახელით ამხ. კაგანოვიჩმა სიტყვა მისცა პარტიას, მთავრობას და პირადად ამხანაგ სტალინს, რომ რკინიგზელები, პარტიულნი და უპარტიონი, სასახელოდ შეასრულებენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს, — ასწიონ ტრანსპორტი მრეწველობისა, თავდაცვისა და მთელი სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დონემდე, შესძლებენ ბოლშევიკურად მოახდინონ რკინიგზელთა მთელი კოლექტივის მობილიზაცია, შეამჭიდროვონ რკინიგზელთა კადრები და დასძრან ჩვენი ლოკომოტივი წინ ახალი გამარჯვებებისაკენ.

ბელადის სიტყვამ რკინიგზელებს ჩაუნერგა სიამაყის გრძნობა, შემატა მათ ახალი ძალა, აღაფრთოვანა, შეაიარაღა, უჩვენა გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა და დასძრა ისტორიული გამარჯვებებისაკენ.

რკინიგზელებმა სასახელოდ შეასრულეს ამხანაგ სტალინის დავალება—მიეღწიათ საშუალოდ დღეღამეში 75—80 ათასი ვაგონის დატვირთვისათვის. რკინიგზელთა საკავშირო დღის პირველი წლისთავზე—1936 წ. 30 ივლისს მთელ ქსელში დატვირთულ იქნა 116.935 ვაგონი.

ლ. მ. კაგანოვიჩის ტრანსპორტიდან წასვლის შემდგომ, ახალმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველჰყო მიღწეული გამარჯვებათა შენარჩუნება. 1937 წლის ზამთარში ტრანსპორტმა ვერ შეასრულა დატვირთვის გეგმა, გაუარესდა ვაგონებისა და ორთქლმავლების მიმოქცევა.

ლ. მ. კაგანოვიჩის ტრანსპორტზე დაბრუნებამ კვლავ გამოიწვია რკინიგზელთა უდიდესი ენტუზიაზმი. საშუალო სადღეღამისო დატვირთვა, რომელიც 75.000 ვაგონამდე იყო დაცემული, 1-ლი ივლისისათვის აწეულ იქნა 100 ათასამდე. ფართოდ გაიშალა შეჯიბრება გზებს შორის, ზუსტად ამუშავდა რთული კონვეიერის ყველა ხრახნი, უდიდეს სიმაღლემდე აიწია პარტიულ-მასობრივმა მუშაობამ.

სოციალისტური ტრანსპორტის გარდაქმნა-გაჯანსაღების პროცესს არც ჩვენი ამიერ-კავკასიის სახელოვანი რკინიგზელები ჩამორჩენიან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის დახმარებით ა.-კ. რკინიგზებზე გამომჟღავნებულ და განადგურებულ იქნენ ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთა, დივერსანტთა და მეზღვარეთა მთავარი მტრული ბუდეები, განდევნილ იქნენ სტახანოვურ - კრიონოსული მოძრაობის მესაბოტაჟენი და უვარგისი ელემენტები; შეიცავალნენ ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთაც საქმით ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედი. მათ ნაცვლად დაწინაურებულია ბევრი ახალი, სამშობლოსა და ლენინ-სტალინის პარტიისათვის თავდადებული ადამიანი, წარმოების მუშაკებიდან და უმთავრესად საუკეთესო ახალგაზრდა სპეციალისტებიდან. მაგრამ მტერთა საბოლოოდ გამომჟღავნება და განადგურება ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის. ამ მხრივ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ი და პირადად ამხანაგი ბერია სისტემატურად მუშაობენ რკინიგზის ტრანსპორტის საკითხებზე და უწევენ მას საჭირო ყოველდღიურ დახმარებას, რის შედეგადაც ჩვენი გზა თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს.

1937 წელთან შედარებით 1938 წლის პირველ კვარტალში საგრძნობლად გაიზარდა მოძრაობი შემადგენლობის ძირითადი მაჩვენებლები: სატვირთო ვაგონების მიმოქცევა 4,63-დან 3,83 დღე-ღამემდე შემცირდა, ცისტერნებისა 6,33-დან 4,76-მდე; სატვირთო ოპერაციებზე ვაგონების გაჩერება 26,5-დან დავიდა 16,6 საათამდე, ცისტერნებისა—26,5-დან 21 საათამდე. ტექნიკური სისწრაფე გაიზარდა 31,5 საათამდე, წინაღმდეგ 30,9-ისა, საბუნო სისწრაფე 19,6-მდე, წინაღმდეგ—18,73-ისა; მნიშვნელოვნად გადიდდა სატვირთო ვაგონების გარბენა, რამაც მიაღწია 163,3 კილომეტრს, ნაცვლად 1937 წლის 129,75-ისა.

თუ ნავთის ჩასხმის გეგმა 1937 წელს შეუსრულებელი დარჩა და შეადგენდა 96,9 პროცენტს, წელს პირველ კვარტალში მივაღწიეთ 100 პროცენტს, ხოლო მეორეში გეგმას ჭარბავაჭარბეთ 5,7 პროცენტით.

მშრალი ტვირთების დატვირთვის საერთო გეგმა ნახევარ წელში შესრულებულია 108,7 პროცენტით.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაკლი ჯერ მაინც ბლომად გვაქვს. საორთქლმავლო მეურნეობა სავსებით გამოჯანსაღებული ჯერ კიდევ არ არის, ორთქლმავლებისა და ვაგონების მიმოქცევა ნორმამდე არ არის დაყვანილი, ავარიები და მარცხები, მიუხედავად მათი საგრძნობი შემცირებისა, მაინც გრძელდება.

გზის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, უსაზღვროდ ერთგულნი ჩვენი დიდის—კომუნისტური პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინისა, შესძლებენ გადალახონ ყველა დაბრკოლება და სასახელოდ შეასრულონ საყვარელი სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩისათვის მიცემული სიტყვა, რომ უფრო მეტი თავგამოდებითა და ენერგიით მოჰკიდებენ ხელს მუშაობას.

ამის საწინდარია არმია სტახანოველ-კრიონოსელი მუშაკებისა, რომლებიც ხალხის მტრებთან და მავნებლობის შედეგებთან ბრძოლაში გამოიბრძმედენ და შემოქმედებითი ინიციატივისა და ჭეშმარიტი ბოლშევიკური მუშაობის სტილს გვიჩვენებენ.

გზის მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ვალია სათავეში ჩაუდგნენ რკინიგზელთა საწარმოო ენტუზიაზმის ახალ აზვირთებას, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათს შემოქმედებითს ინიციატივას, დარაზმონ და შეამჭიდროონ მასები, აიყვანონ ისინი საუკეთესო სტახანოველ-კრიონოსელთა დონემდე. ჩვენი ამოცანაა მოესპოთ ავარიები, მარცხები, წუნი მუშაობაში, ზუსტად დავიცვათ მოძრაობის გრაფიკი, დავაჩქაროთ ვაგონებისა და ორთქლმავლების მიმოქცევა, პოლიტიკურად აღვზარდოთ რკინიგზელთა მასები და დავნერგოთ შრომის რკინისებური დისციპლინა, ვასწავლოთ ტრანსპორტის ყველა მუშაკს ტექნიკური მინიმუმების წესები, შევისწავლოთ პარტიისა და მთავრობის ძირითადი გადაწყვეტილებანი, ბრძანებანი; უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შემდგომი წარმატებების საწინდარია.

უმაღლესი საბჭოების წარსულ არჩევნებში ამიერ-კავკასიის რკინიგზელებმა ცხადჰყვეს მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, ღიდი სტალინისადმი.

რკინიგზელთა არმია კრემლში მიღების წლისთავს აღნიშნით კიდევ უფრო შეამჭიდროვებს ოავის რიგებს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და სტალინური სახკომის ლ. მ. კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით მიაღწევს კიდევ უფრო მეტ წარმატებებს ტრანსპორტის მუშაობაში, დააყენებს მას სოციალისტური საბჭოო მეურნეობის პირველ ადგილზე.

პარტიული ცხოვრება

მივაღწიოთ გარდატეხას პარტიულ მუშაობაში

ამ დღეებში შესდგა ზნაურის რაიონული პარტიული აქტივის კრება. საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მდივანი ამხ. ლ. კაჭკაევი.

ამ ორთვენახევრის წინათ კომუნისტთა სარაიონო კრებამ რაიკომის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, ახლა, როცა რაიონული პარტაქტივი იხილავდა საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგებს, მოხსენების გარშემო დიდი აქტივობით ჩატარდებოდა კამათი, მოკამათეები დასახავდნენ პარტიული მუშაობის გაჯანსაღების გზებს ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. კამათში 12 ამხანაგი ჩაეწერა, მაგრამ მონაწილეობა მხოლოდ 6-მა მიიღო. მეექვსე მოკამათის შემდეგ კრებამ დაადგინა კამათის შეწყვეტა. ადგილობრივ ამხანაგებს, დროის უქონლობის მოტივით, არ მისცეს სიტყვა, მაშინ, როცა საქ. კ. პ. (ბ) სოფლის კომიტეტიდან მიმაგრებულმა ამხ. გ. მედოევმა 20 წუთზე მეტს ილაპარაკა ყველაფერზე და არაფერზე.

კამათში გამოსულმა წ. სობაევმა (წურბინის კოლმეურნეობასთან არსებულ პირველადი ორგანიზაციის პარტორგი) კრებას უამბო საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ პარტიაში მიღებას არ ექცევა საკმარისი ყურადღება, სუსტადაა დაყენებული მუშაობა პარტკანდიდატებთან და პარტიის რეზერვებთან.

ამხ. სტ. ბეგოევმა (საქ. კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომი) ხაზი გაუსვა ზოგიერთი საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის სუსტ ბრძოლას კოლმეურნეობათა კარგი მუშაობისათვის. არის შემთხვევები, როცა პარტორგი და კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე შეუთანხმებლად მუშაობენ.

სარაიონო აქტივის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მთლიანად და სავსებით იწონებს საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის გადაწყვეტილებებს. აქტივმა დაადგინა პარტგანათლების ქსელში ღრმად შეისწავლონ ყრილობის დადგენილებანი და ამხანაგ ლ. ბერიას მოხსენება.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგების დამუშავება. საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგების განხილვა ზოგს პირველადს ორგანიზაციაში ფორმალურად ჩატარდა; მაგალითად კ. მარქსის სახელობის თოლვის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციაში პარტიულ კრებაზე 15 ივლისს მოისმინეს რაიკომიდან მომაგრებული ამხ. ალ. გერგაულოვის (პარტრაიკომის შტატის პროპაგანდისტი) მოხსენება ყრილობის შედეგებზე. ამ პირველადს ორგანიზაციას მრავალი ნაკლი ახასიათებს. აქ დაგეწყებულია პარტიულ დავალებათა შესრულების შემოწმება, ცუდად მუშაობენ თანამგრძ.ობებთან, კომუნისტები და თვით პარტორგიც ხშირად არ ესწრებიან პოლიტსკოლის მეცადინეობას და მრავალი სხვ. მაგრამ კამათში ერთი კაციც არ გამოსულა. პარტორგი ამხ. ანტ. ოსიტაშვილი თვითკმაყოფილებით ლაპარაკობს:—„მოხსენებიდან ყველაფერი გავიგეთ და კამათი რა საჭირო იყოო“. კრებას არ მიუღია არც ერთი პრაქტიკული ღონისძიება ჩაშლილი პარტიული მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ოქმში მოკლედ არის ჩაწერილი თვით მოხსენებლის ამხ. გერგაულოვის ხელით: „ამხ. გერგაულოვის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგებზე მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ“.

ა. ჯუმბურიძე

პარტიულ პროპაგანდას სერიოზული ყურადღება

ამ რამდენიმე დღის წინათ შესდგა თბილისის რაიპარტაქტივის კრება. კრებაზე საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლეკიშვილი. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 16-მა კაცმა.

პირველად სიტყვით გამოვიდა ამხ. ა. ალავერდოვი, რომელმაც აღნიშნა კომუნალური განყოფილების მოუქნელი მუშაობა სასკოლო მშენებლობაში. მან ილაპარაკა აგრეთვე რაიფინგანის სუსტი მუშაობის შესახებ, ხაზი გაუსვა ადგილებზე რაიფინგანის აგენტების (უფ მუშაობას. ამხ. ა. ბერიაშვილმა (მცხეთის სახერხი ქარხნის პარტკომის მდივანი) აქტივს მოუთხრო პარტიული ორგანიზაციის ზრდის საკითხზე და აღნიშნა, რომ მცხეთის პარტორგანიზაციამ დღემდე 4 კომკავშირელი მიიღო თავის რიგებში, ხოლო თანამშრომთა ჯგუფში 18 ამხანაგი. იგი თავის სიტყვაში შეეხო აგრეთვე რაიკოოპერაციისა და მისი განყოფილების—მცხეთის კოოპერატივის გამგეობის სუსტ მუშაობას; მან აღნიშნა, რომ კოოპერაცია ვერ აკმაყოფილებს მუშათა და კოლმეურნეთა მზარდ მოთხოვნილებებს.

საქმიანი კრიტიკით გამოვიდა ამხ. უ. მუმლაძე (რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი). მან მოურიდებლად გააკრიტიკა მუხრანის ზონაში შემავალი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სუსტი მუშაობა პარტგანათლების დარგში (პროპაგანდისტი კონწლაშვილი).

მსგავს მოვლენას აქვს ადგილი მუხრანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციის ნორმალური ტიპის პოლიტსკოლაშიც. აქ 13 და 21 ივლისს ჩაიშალა პოლიტსკოლის მეცადინეობა. ადგილი აქვს მსმენელების მიერ მეცადინეობის გაცდენას. უფრო მეტიც, პროპაგანდისტმა გ. ჩალიგავამ შეიდჯერ ჩაშალა პოლიტსკოლის მეცადინეობა მუხრანის ტერპარტორგანიზაციის ნორმალური ტიპის პოლიტსკოლაში. ის მოუმზადებელი ცხადდება მეცადინეობაზე, რაც ყოვლად დაუშვებელია.

რაიონში მოსავლის აღების ნელი ტემპით მიმდინარეობაზე ილაპარაკა ამხ. ნ. მელიქიშვილმა (რაიაღმასკომის თავმჯდომარე). მან აღნიშნა, რომ მთელ რიგ ადგილებში ნატახტარის სოფლის საბჭოს, წეროვანის, წილკანის, მარტყოფის და სხვ. ადგილი აქვს მოსავლის დაგვიანებით აღებას. სუსტად მიმდინარეობს დანაკარგებთან ბრძოლა, ხოლო ამ გარემოებას კოლმეურნეთა თავმჯდომარეები ყურადღებას არ აქცევენ.

ამხ. ვ. დარსაძემ (რაიკომის მეორე მდივანი) აქტივის ყურადღება გაამახვილა სკოლების რემონტის გაჭიანურების აღმოფხვრის, პარტიული სკოლების მუშაობის გაუმჯობესების, კომუნისტებისათვის მიცემულ დავალებათა შესრულების შემოწმებისა და სხვ. საკითხებზე, და მოუწოდა პარტაქტივს ფართოდ გაშალოს მუშაობა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ს. თაბუკაშვილმა (მცხეთის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე) ვ. სუხიტაშვილმა (რაიგაზეთის რედაქცია), ფ. ბედიანაშვილმა (მარტყოფის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგი) და სხვებმა.

რაიაქტივის კრებამ ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მოიწონა საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის დადგენილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დ. რთველიაშვილი.

სწავლობენ ყრილობის გადაწყვეტილებებს

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელსაც 109 კომუნისტი დაესწრო.

აქტივის კრებამ გულდასმით მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგების შესახებ რაიკომის მდივნის ამხ. შ. დავითაიას მოხსენება, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა ყველა იმ საკითხზე რაც აღნიშნული იყო ამხ. ლ. ბერიას მოხსენებაში ყრილობაზე და აგრეთვე იმ მუშაობაზე რაც საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა ჩაატარეს საკ. კ. პ. (ბ) თებერვლის პლენუმის დადგენილებათა შესასრულებლად.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო—17 კომუნისტმა. მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებს აქვთ ერთგვარი მიღწევები პარტიის რიგების ზრდის, პარტგანათლების გაუმჯობესებისა და სხვ. მხრივ.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ყრილობის დადგენილებანი და დასახა პრაქტიკული ღონისძიებები მათი ცხოვრებაში გატარებისათვის.

რაიონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში განხილული იქნა საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის შედეგები და აგრეთვე ყრილობის შედეგების შესწავლისათვის პარტგანათლებაში ქსელში ჩატარდა ორი რიგგარეშე მეცადინეობა. ამჟამად აგიტატორების საშუალებით უპარტიოთა წრეებში მიმდინარეობს ამხ. ლ. ბერიას მოხსენების შესწავლა, რაც დიდ ინტერესს იწვევს.

შ. კუხალაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. მ. არაქელოვა აცნობს ფაბრიკა „მკერავის“ № 2 (თბილისი) თანამშრომლებს საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობის რეზოლუციას ამხ. ლ. პ. ბერიას მოხსენების გამო.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ჩვენ გვინდა ვიკითხოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულქვა დედამ ორი შვილი იმსხვერპლა

... პირუტყვი კი არა ვარ, ორი ერთად ჩამოვიკიდო ძუძუზე. ტყუპებს მე არ გავზრდი. რაც გინდა, ის უყავი,—გადაჭრით განუცხადა გულქვა „დედამ“ ლიზა ქაბურზანიამ ქმარს ივანე კიკალიშვილს.

საექიმო შემოწმებით ბავშვები ჯანსაღნი აღმოჩნდნენ. დედის რძე მათთვის სრულიად საკმარისი იქნებოდა. ქმრისა და ახლობლების ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა. დედამ ხელი აიღო ბავშვების მოვლასა და კვებაზე. აუცილებელი გახდა პატარა ნათელას გაძიძაგება. ლიზა ქაბურზანიას ერთხელაც არ უკითხავს, როგორ ზრდიდა ძიძა ბავშვს. გავიდა რამდენიმე ხანი და ნათელა მოკვდა მოუვლელობით.

ლიზამ ახლა ახალი აზრი აიკვიატა. მე სოფელში ვერ ვიცხოვრებ, გინდა თუ არა გაჰყიდე აქ ყველაფერი და თბილისში გადავიდეთ საცხოვრებლადო, — წაუყენა ახალი ულტიმატუმი ქმარს.

ივანე კიკალიშვილს არ უნდოდა დაეტოვებინა კოლმეურნეობა. იგი არ ეთანხმებოდა ამ განზრახვას, მაგრამ ცოლი დაემუქრა:

თუ თბილისში არ გადამიყვან, მიგიტოვებ ამ ბავშვსაც და წავალო.

კიკალიშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა სოფელი. თბილისში დიდხანს არ უცხოვრიათ. მალე ისევ სოფ. ბანძაში დაბრუნდნენ.

უკმაყოფილო ქალმა მიატოვა პატარა ბავშვი და მშობლების ოჯახში წავიდა. მამას აწუხებდა უდედოდ მიტოვებული ბავშვის ბედი. შეშინდა, ესეც არ მომიკვდესო, და ხვეწნა-მუდარით დააბრუნა ქალი.

ცოლ-ქმარს კიდევ ერთი შვილი შეეძინათ. ქაბურზანიას ქალი ემზადებოდა მორიგი გაქცევისათვის.

ამ უგულო ადამიანს წარმიც არ შეუხრია, ისე დაანება თავი ორი თვის გოგოს. აიკრა გუდანაბადი და ქვლავ მშობლებს მიადგა. ახლა მას ქმრის ოჯახიდან რაც შეიძლება მეტი წილის გატანა აინტერესებდა.

არ ვიცით, რას ემყარებოდა გეგეჭკორის რაიონის სახალხო სასამართლო, როცა 2 თვის ბავშვი მამას დაუტოვა, ოთხი წლისა კი—დედას.

პატარა გოგო ძიძას მიაბარეს და ერთი თვის შემდეგ ისიც გარდაიცვალა. ამგვარად, მხეცი ლიზა ქაბურზანია ორი ბავშვის სიკვდილის პირდაპირი მიზეზი გახდა. ყოფილი ქმრის ოჯახიდან გამოტანილი ქონება გაანაწია, შემდეგ ოთხი წლის ბავშვიც მიატოვა ბებიასა და ბაბუასთან და თითონ თბილისში გათხოვდა.

პატარა კაკო ახლა მეორე კლასშია. ბებია და ბაბუა რელიგიის ზეგავლენის ქვეშ ზრდიან მას, უნერგავენ მამის სიძულვილს და არ აკარებენ მას.

ივანე კიკალიშვილი სამართლიანად მოითხოვს შვილის დაბრუნებას. ქაბურზანიამ კი პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რომ იმსხვერპლა ორი შვილის სიცოცხლე და დაანგრია პატიოსანი კოლმეურნის ოჯახი.

გ. გაბოშვილი

„სახელი ჩემი და სახრავი სხვისაო“

ზერტელი კოლმეურნის გულა მირაზანაშვილის რვა სულისაგან შემდგარი ოჯახი ველარ მოთავსდა ძველსა და პატარა სახლში. საკოლმეურნეო შრომის ხვავმა და ბარაქამ ოჯახს ახალი სახლის აშენება შეაძლებინა.

მირაზანაშვილმა მოზიდა სამშენებლო მასალა და ის იყო საფუძველი უნდა ჩაეყარა სახლისათვის მამაპაპეულ სამოსახლოზე, რომ სოფლსაბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ (ამჟამად დაპატიმრებულია) შეაჩერებინა მშენებლობა. ეს არამზადა მირაზანაშვილის მეზობლის კოლა ბესიაშვილის სახლში სცხოვრობდა. ბესიაშვილს თურმე არ სურს, რომ მისი სახლის გვერდით ვინმემ ახალი სახლი აიშენოს. სოფლსაბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ დაიწყო ბესიაშვილის წინააღმდეგობის დასაბუთება: ბესიაშვილის ოჯახს სახლში მისასვლელი გზა დაუვიწროვდებაო, მათ ოთახებს მზის სხივები უშუალოდ და უხვად აღარ მოხვდებაო და სხვ. სოფლის საბჭოს საზოგადოებრივმა სასამართლომ დაადგინა ბესიაშვილისა და მირაზანაშვილის სამოსახლოების შეკრის შემდეგ მირაზანაშვილს თავისი ძველი სახლის გვერდით ბესიაშვილს ყოფ. სამოსახლოზე უნდა დაეწყო მშენებლობა ქვლავ წამოჰყო თავი „წინააღმდეგობამ“. ახლა, ობლებს ეკვრის სახლში მისასვლელი გზაო. დაწყო ახალი საჩივარი.

საქმეში ჩაერია გორის რაიაღმასკომი. არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა რაიაღმასკომის პრეზიდიუმი, როცა ასეთი დადგენილება გამოჰქონდა: „კოლა ბესიაშვილისა და დარჩია მირაზანაშვილის სახლებს შუა მდებარე გული მირაზანაშვილის მამაპაპეული სამოსახლო დარჩეს გული მირაზანაშვილის მთოოებელობაში, მხოლოდ შიგ სახლის აშენების უფლება არ მიეცესო“. სწორედ ახირებული დადგენილებაა. ამაზე იტყვიან სახელი ჩემი და სახრავი სხვისაო!

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გორის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი გადასინჯავს თავის ამ დადგენილებას, გააუქმებს მას, როგორც უსაფუძვლოს და კანონიერად ჯუთნილ სამოსახლოზე სახლის აშენების უფლებას მისცემს გული მირაზანაშვილს.

ს. გოგიტაძე

მერვე ცოლი რომ არ შეირთოს...

გაბრიელ თურმანიძეს ანუ, როგორც მას ეძახიან, ჟორა ქავთარაძეს უყვარდა ერთი სიმღერა. იგი ხშირად ღიღინებდა ამ სიმღერას და ცოლს ერთგულებას ეფიცებოდა.

შენ გგონია, ცოლს გავუშვებ
და შენ გამოგეკიდები?
ცოლისათვის თავს გავწირავ...

მართლაც, გაბრიელი ერთ დროს ცოლისა და ოჯახისათვის თავს სწირავდა:

— მიყვარხარ, ჩემო სულისდგმავ!
—ეალერსებოდა გაბრიელი ახალ შერთულ ქალს. ამხანაგებში აქებდა ეკატერინე ფარეშვილს.—ისეთი ქალი მყავს, ბიჭებო, როგორც გუგული.

კარგად მიდიოდა საქმე. ახალგაზრდა ცოლქმარი სიყვარულით იყო აღტაცებული, მაგრამ დაიბადა ბავშვი, რომლის ტირილი ყურებში შხამივით ჩაეწვეთა გულქვა მამას.

— ბავშვმა ჩვენს შორის შავ კატასავით გაირბინა!—უთხრა ქმარმა ცოლს, მიატოვა ოჯახი და მეორე ქალს გადაეკიდა.

— შენ მიყვარხარ, შენ, ჩემო სულისდგმავ!—ასე ეუბნებოდა ლიდა ბ-ს გაბრიელ თურმანიძე და რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც გააბა მახეში.

დაიწყო ახალი ცხოვრება. მაგრამ ერთ დღეს კარებზე აღმასრულებელი მიადგა, რომელმაც სასამართლოს დადგენილება მიუტანა და გაიფრთხილა ალიმენტის სახით თვეში 80 მანეთი გადაეხადა.

— რის ალიმენტი, რა ალიმენტი! — მაღლა ქვა ისროლა და თავი შეუშვირა თურმანიძემ. მაგრამ მალე დამშვიდდა, გამოსავალი ნახა.

— გაბრიელი რელიგიური სახელია, გვარიც არ მოშფონს, კაცმა რომ სთქვას. სახელსა და გვარს რომ გამოვიცვლი, მერე როგორ მომაგნებენ ეს აღმასრულებლები.

მეორე ცოლმა ურჩია ჟორა დარეგისტრირებინა და თურმანიძეც აღტაცებაში მოვიდა. ამ დღიდან მას ჟორა ქავთარაძეს ეძახოდნენ. სასამართლოების დადგენილებები, აღმასრულებელი ფურცლები გაბრიელ თურმანიძეზე იწერებოდა, მაგრამ მის ქვალს ვერსად ვერ აგნებდნენ. ის დღესაც თავისუფლად მუშაობს ჟორაში სასამართლოს აღმასრულებლად.

— სახელი კარგი შემარჩვი, მაგრამ მაინც უნდა გაგცილდე, ხასიათში ვერ შეგეთვისე, ჩხუბს ტკბილად გაცილება სჯობია, თორემ ჩხუბსა და აყალმაყალში მე ვერავინ მაჯობებს.—მეორე ცოლსაც ჟორა დონჟუანმა ადვილად დაანება თავი, მესამე ქალი მოატყუა, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე. ახლა, ამბობენ, მეშვიდე ცოლად ზინა მ... ჰყავსო.

— ალიმენტს მაინც იხდიდეს, — მითხრა ეკატერინემ. კიდევ მეტი. ალიმენტს ვინ ჩაიბს. ფულს სთხოვს ახლა პირველ ცოლს. უკანასკნელად გამოგზავნილ წერილში ჟორა დონჟუანი ან იგივე გაბრიელ თურმანიძე სწერს: მამაშენს გააყიდვინე სახლი, ფული გამომიგზავნე და შეგირიგდებიო. ახლა ამით უნდა ქალი მოატყუოს. ამიტომ საჭიროა, სანამ პირველ ცოლს სახლს გააყიდვინებდეს და ამ ფულით მერვე ცოლს შეირთავდეს, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორმა სასტიკად დასჯოს უღირსი მოქალაქე გაბრიელ თურმანიძე

ნ. ზვიადაძე.

ვ. სიხარულიძე — საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანი

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ პარჯიაში მიღებას

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომში წინათ მოკალათებული მავნებლები ყოველნაირად ებრკოლებდნენ პარტიული ორგანიზაციების ზრდას, აფერხებდნენ პარტიაში მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანების მიღებას.

1937 წ. ნოემბრისათვის, ე. ი. პარტიაში მიღების განახლების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში, 26 კომისრის რაიონში საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიღებულ იქნა სულ 109 კაცი. 60 ორგანიზაციას (90-დან) სრულებით არ უწარმოებია პარტიაში მიღება.

ხალხის მტერთა მავნებლური მუშაობის შედეგების ლიკვიდაციით 26 კომისრის რაიონის პარტორგანიზაციებმა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში საგრძნობლად გააუმჯობესეს პარტიაში მიღების საქმე.

1937 წლის 15 დეკემბრიდან 1938 წ. 15 ივლისამდე 26 კომისრის რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია 400 კაცი და საქ. კ. პ. (ბ) წევრებად 150 კაცი. პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულ 400 კაციდან მოსამსახურეები შეადგენენ სულ 17 პროცენტს.

მაგრამ გვაქვს ნაკლიც; ცუდად არის დაყენებული პარტიაში ქალების მიღების საკითხი. ზოგიერთი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ვერ შეიგნეს ქალთა შორის მუშაობის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და ეს საქმე თვითდინებას მიანდეს.

ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში მუშათა შემადგენლობის 50 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ, მაგრამ აქ პარტიაში ქალებს მცირე რაოდენობით იღებენ. პარტწევრობის კანდიდატებად მიღებულ 70 ამხანაგიდან მხოლოდ 12 არის ქალი. ამავე დროს ფეხსაცმლის ახალ ფაბრიკაში ასობით არიან საქმის ერთგული ქალები, რომლებიც გვიჩვენებენ სტახანოვური მუშაობის ნიმუშებს. მაგალითად: სარანტო საამქროს სამკერვალო ჯგუფის უფროსი ამხ. რაიბენკო გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს, წუნს კი იძლევა ლიმიტზე ნაკლებს. ამავე ჯგუფის მუშა ქალი გვანცაძე გეგმას ასრულებს 248 პროცენტით, კანდარიანი — 248 პროც., სობოლევა — 215 პროც. და ა. შ.

პარტიაში ქალების მიზიდვის მხრივ სუსტად მუშაობენ აგრეთვე ხორცკომბინატის (პარტკომის მდივანი ამხ. არუთინოვი), წისქვილკომბინატის (პარტკომის მდივანი ამხ. ლეონი), ქალაქის პირველი საავადმყოფოს (პარტკომის მდივანი ამხ. ბახუტაშვილი), მაკარონის ფაბრიკის (პარტკომის მდივანი ამხ. ხომუტოვა). ქალალდის ფაბრიკის და სხვ. პარტორგანიზაციები. ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან მარტო ხორცკომბინატში და მაკარონის ფაბრიკაში წლინახევრის მანძილზე პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია თითო ქალი, მაშინ როდესაც ამ ორგანიზაციებში, ისე როგორც დანარჩენებშიც, მომუშავეთა დიდ პროცენტს ქალები შეადგენენ. დროა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ქალთა შორის აღმზრდელობით მუშაობას, რათა პარტიაში ჩააბან საუკეთესო მოწინავე ქალები.

უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში მთელმა რიგმა პარტორგანიზაციებმა გვიჩვენეს საკმაოდ კარგი მუშაობა პარტიაში მიღების საქმეში. ასეთებია: ფეხსაცმლის ფაბრიკა № 3 (პარტკომის მდივანი ამხ. ალიხანოვი), ინკმშენი (პარტორგი—ამხ. ჯინჭარაძე), და სხვ.

პარტიაში მიღების მხრივ რაიონში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტორგანიზაციებს (პარტკომის მდივანი ამხ. ლუარსაბოვი), უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია 54 კაცი, პარტიის წევრად—22, თანამგრძნობი იყო 25, ახლად მიღებულია კიდევ 34 კაცი.

ნავთლუღის ლიანდაგის შემკეთებელი ქარხნის პარტორგანიზაცია თავის რიგებში ითვლიდა 7 პარტწევრს და 2 კანდიდატს (მუშები და მოსამსახურეებია სულ 120 კაცი). პარტიაში მიღების განახლების მომენტიდან საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღებულია 12 კაცი; მათ შორის საქ. კ. პ. (ბ) წევრად — 2, კანდიდატად — 10, პარტიაში მიღებული 12 კაციდან 5 კომკავშირელია. მიღებულთა შორის არიან: ქარხნის საუკეთესო, მოწინავე ადამიანები, სტახანოველები და დამკვრელები. გავიცნოთ რამდენიმე მათგანი. აი, მიხეილ ახვერდოვი. მას 9 წლის საწარმოო სტაჟი აქვს, არის სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი, დავალებას 300 პროც. ასრულებს, არის სტალინური გაწვევის წიშნოსანი; მიხეილ მელოიანი მიღებული საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად I კატეგორიით, ქარხნის ერთერთი საუკეთესო სტახანოველი, დავალებას ასრულებს 300 პროც., ამასწინათ დაწინაურებულ იქნა საამქროს უფროსად; ნიკოლოზ ზაუტაშვილი, მიღებული საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად, სტახანოველი ზეინკალი, დავალებას ასრულებს 200 პროც., აქვს 17 წლის საწარმოო სტაჟი, ამასწინათ დაწინაურებულ იქნა საამქროს ოსტატად და სხვები.

ტრამვაის პარკის პარტორგანიზაციაში (პარტორგი ამხ. ბარსეგოვი) პარტიაში მიღების განახლებამდე იყო საქ. კ. პ. (ბ) 4 წევრი და 1 კანდიდატი. საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების განახლების დღიდან ტრამვაის პარტორგანიზაციამ პარტწევრობის კანდიდატებად მიიღო 9 კაცი, კანდიდატებიდან წევრად გადარიცხა 2 კაცი.

საქ. კ. პ. (ბ) წევრებად და კანდიდატებად მიღებულთა შორის არიან წარმოების საუკეთესო ადამიანები: გარეგინ სტეპანოვი, ზეინკალი, სტახანოველი, გეგმას ასრულებს 300-350 პროცენტით, არის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, აგიტატორი; ვალიკო კუზანაშვილი — ზეინკალი, სტახანოველი, საწარმოო გეგმას ასრულებს 250-300 პროც., ალკ წევრი; იაკობ საგანელიძე — კომკავშირელი, ზეინკალი, სტახანოველი, ამწყობი ბრიგადის ბრიგადირი, მისი ბრიგადა გეგმას ასრულებს 220-250 პროც.

რაიკომის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის მიუხედავად, პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღება ჯერ კიდევ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მთელ რიგ მსხვილ ორგანიზაციებში პარტწევრობის კანდიდატებად მიღება სრულიად უმნიშვნელოა; ასე, მაგალითად, წისქვილკომბინატის პარტორგანიზაციაში მიღებულია სულ 3 კაცი, საფერმენტაციო ქარხანაში — 4 კაცი და ა. შ.

რაიონში დღემდე კიდევ არის 17 პარტორგანიზაცია, რომლებსაც სრულიად არ უწარმოებიათ პარტიაში მიღება და კანდიდატების პარტწევრად გადაყვანა. ესენი მცირერიცხოვანი ორგანიზაციები არიან, მაგრამ მათ ყველა პირობა აქვთ პარტორგანიზაციის ზრდისათვის, ასეთებია: აგურის ქარხანა, ფიზკულტურის ინსტიტუტი, სომხური სახელმწიფო დრამის თეატრი, საქსოფლმომარაგება და სხვ.

კიდევ უფრო ჩამორჩენილია პარტიის წევრობის კანდიდატთა პარტწევრებად გადარიცხვის საქმე. ასეთებია, მაგალითად, ამხ. პაჭკორია—რაიპროკურორი, კანდიდატი 1927 წლიდან; ამხ. ალმანოვი, ქვის საჭრელი ფაბრიკის ბუხჰალტერი, ორივე მათგანის პარტწევრად გადარიცხვა შეაფერხა იმან, რომ ვერ იშოვნეს რეკომენდატორები. ჩვენ წინადადება მივეცით იმ ორგანიზაციების პარტორგებს, სადაც ეს ამხანაგები ირიცხებიან, აღმოუჩინონ მათ დახმარება რეკომენდატორების შოვნაში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი პარტკანდიდატების გადარიცხვას საქ. კ. პ. (ბ) წევრებად, არ დაუშვან ამხანაგების „დახავსება“ კანდიდატობაში.

მიუხედავად მთელი რიგი მითითებებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას რეკომენდაციების გაფორმებისადმი, რეკომენდაციებს ხშირად სწერენ ქალალდის ნაგლეჯებზე, დაუდევრად და მრავალი შეცდომით. ზოგიერთი კომუნისტი რეკომენდაციის მიცემისას ცდილობს თავი აარიდოს რეკომენდებულის პოლიტიკურ სახეზე. პარტიის წევრმა ამხ. მებუკეც ერთი ამხანაგისათვის მიცემულ რეკომენდაციაში დასწერა, რომ იგი წესიერად დაიარება სამუშაოზეო.

ეი რეკომენდაციის მეორე „ნიმუში“:

„მე, ვაგან არუთინის-ძე სარჭისოვი, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წ., კომკავშირელ იოსებ დარჩიას-ძე ოზმიროვს ვაძლევ რეკომენდაციას საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად შესვლის შესახებ. ვიცნობ მას 1929 წლიდან, როგორც კარგ მეზობელს“.

საფერმენტაციო ქარხნის ყოფილმა პარტორგმა ამხ. აგლამზომა გადასწყვიტა მოეხდინა რეკომენდაციების მიცემის „მექანიზაცია“. ამ მიზნისათვის მან სპეციალური დაბეჭდილი ფორმა დაამზადა.

26 კომისრის რაიკომი სერიოზულ ყურადღებას აქცევს პარტწევრობის კანდიდატებთან და თანამგრძნობებთან მუშაობას. რაიკომმა ჩაატარა სპეციალური თათბირი პარტკომის მდივნებისა და პარტორგების, თანამგრძნობებისა და პარტკანდიდატების მონაწილეობით როგორც თანამგრძნობებთან, ისე კანდიდატებთან მუშაობის საკითხებზე. ამ თათბირის შედეგები განხილულ იქნა რაიკომის ბიუროზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თანამგრძნობებთან მუშაობა დაყენებული არადამაკმაყოფილებლად, თანამგრძნობთა ჯგუფების ახლანდელი ზრდა სრულებით არ არის საკმარისი და არ უზრუნველჰყოფს პარტიისათვის რეზერვის მომზადების ამოცანას. მთელ რაიონში სულ 440 თანამგრძნობია. ეს ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს საწარმოებში ასობით არიან წარმოების მოწინავეები, რომელთაც სურთ პარტიაში შესვლა.

მთელ რიგ მსხვილ პარტორგანიზაციებთან თანამგრძნობები მხოლოდ ერთეულებით ითვლება. 21 პარტორგანიზაციაში სულ 1-2 თანამგრძნობია, ხოლო ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა ფიზკულტურის ინსტიტუტი, ხალტურინის სახელობის არტელი, საქსოფლმომარაგება, „მეხშუბა“. აგურის ქარხანა და სხვ., სრულებით არ არიან თანამგრძნობები.

პარტორგანიზაციების ხელმძღვანელები სერიოზულად არ ეკიდებიან თანამგრძნობთა ჯგუფების ზრდის საკითხებს. ამის გამო თანამგრძნობებთან მუშაობა მოიკოჭლებს.

სუსტად არის აგრეთვე დაყენებული თანამგრძნობთა სწავლება პარტიული განათლების ქსელის წრეებში. პარტკომის მდივნები და პარტორგები არ ატარებენ თათბირებს თანამგრძნობთა ჯგუფების წევრებთან, არ ეხმარებიან მათ თავიანთი პოლიტიკური დონის ამაღლებაში.

ასევე არადამაკმაყოფილებელია პარტკანდიდატებთან მუშაობა. მთელი რიგი პარტორგანიზაციების პარტკომების მდივნებმა და პარტორგებმა ვერ შეიგნეს პარტკანდიდატთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდი მნიშვნელობა; ჯერ კიდევ ყველა კანდიდატს არა აქვს პარტდავალება (პარის ქარხანა), პარტორგანიზაციები არ ამოწმებენ, თუ როგორ ასრულებენ კანდიდატები

ესპანეთის ხალხის გმირული ბრძოლა

ესპანეთის ფრონტებზე

(საკვლისის მიერ პარიზიდან და ბარსელონიდან მიღებული ცნობების მიხედვით)

ალმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს 27 ივლისის ოფიციალური ცნობის თანახმად, რესპუბლიკის ჯარის შეტევა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ იტალია-გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა ესპანელ ჯარს და ცდილობდა გაეტეხა შეტევაზე გადასულთა ენერგია, დღის განმავლობაში რესპუბლიკელებმა დაიკავეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები.

ამჟამად ბრძოლა სწარმოებს განდესის ირგვლივ, იგი გარშემორტყმულია რესპუბლიკელთა ჯარის მიერ. ტყვეთა რიცხვი, უმეტესად იტალიელები, 4 ათას კაცს აღემატება. სწარმოებს რესპუბლიკელთა მიერ დაკავებული ტერიტორიების გაწმენდა. ხელთ იგდეს დიდძალი საბრძოლო მასალა.

ლევანტის ფრონტი

მტრის ყველა ღონისძიება, მიმართული ვიერის დასაპყრობად მარცხდება რესპუბლიკელთა მტკიცე წინააღმდეგობით. იტალიელი ჯარი ცდილობდა დასავლეთიდან შემოევლო ესპადანის მთისათვის, რათა ჩრდილოეთიდან მიეტანა ვიერზე იერიში. მაგრამ ეს ცდა იტალიელებს უდიდეს მსხვერპლად დაუჯდა, რესპუბლიკელებმა სასტიკად დაამარცხეს ისინი. ამჟამად იტალიელთა ჯარი ახალი მაშველი ძალების მოლოდინშია და იძულებულია შესწყვიტოს იერიში ვიერზე.

მტერი ცდილობდა აგრეთვე იერიში მიეტანა რესპუბლიკელთა პოზიციებზე კურილიო რაბალსადორთან—ელ ტოროს მთიდან სამხრეთისაკენ. მაგრამ რესპუბლიკელთა ჯარმა გრიგალისებრი ცეცხლით მოსპო იერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგის ნაწილები, შემდეგ კი ექვსთა იტალიელთა სანგრებს და გამოდევნა ისინი ხელყუმბარებით.

მტრის იერიშები რესპუბლიკელთა პოზიციებზე ტრეკსუელოსთან (კაუდიელის სექტორი) და ალმენარიასთან (სუეროსის ზონაში) სავსებით უკუქცეულია.

რესპუბლიკელთა ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარები იტალიელთა ჯარის თავმოყრილ ნაწილებს ბარაკასისა და კაუდიელის სექტორებში (კაუდიელის სექტორი)—და ალმენარიასთან (სუეროსის ზონაში). იტალიელებს დიდი ზარალი მიადგათ.

ცენტრალური ფრონტი

ბრუნეტის სექტორში რესპუბლიკელთა ჯარი მოხერხებულად მიეჭრა მტერს და მოსპო მისი ცოცხალი ძალები.

ფრონტის ესტრამადურის უბანზე მტერი ცდილობდა იერიში მიეტანა რესპუბლიკელთა პოზიციებზე ლა სერენასთან, მაგრამ იგი უკუქცეულ იქნა.

ესპანეთის საგენვო რესპუბლიკელთა შეტევის შესახებ ალმოსავლეთის ფრონტზე

პარიზი, 28 ივლისი (საკდესი). ესპანის საagენტოს სპეციალური კორესპონდენტი ალმოსავლეთის ფრონტიდან იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ჯარი მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში განაგრძობდა შეტევის გაძლერმავებას, რომელიც ორი დღის წინათ დაიწყო. შეტევა სწარმოებს ფრონტზე, რომლის სიგრძეა ას კილომეტრს აღემატება. ფრონტის სხვადასხვა პუნქტებში მტრის ხაზი გარღვეულია.

რესპუბლიკელთა ჯარმა ხელთ იგდო მრავალი ტყვე. ბევრ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ჯარი უბრძოლველად ჰყრის იარაღს: ჯგუფ-ჯგუფად, რამდენიმე ათეული კაცი ხელაწეული გამოდის და ისე უახლოვდება რესპუბლიკელ ჯარისკაცებს.

ყველგან მტრის ბანაკში ჰყრია სამხედრო საჭურველი. გზებზე და ბილიკებზე დაფანტულია იარაღი, საჭურველიანი, სურსათიანი და პატიროსებიანი ყუთები. უდროობის გამო რესპუბლიკელების მიერ სამხედრო ნადავლის ზუსტი დათვლა ჯერ არ არის დამთავრებული.

მოპირდაპირემ, მხედველობაში მიიღო რა, რომ მის ქვეითა ჯარს ძალა არ შესწევს შეაკავოს რესპუბლიკელთა შეტევა, აამოქმედა თავისი ავიაცია. მთელი გუშინდელი დღა განმავლობაში არ შეწყვეტილა გერმანელთა და იტალიელთა თვითმფრინავების თავდასხმები. თითქმის ყოველ საათში მტრის ყუმბარმტყორცნთა დიდი ესკადრილიები რეიდებს ახდენდნენ რესპუბლიკური ჯარის წინააღმდეგ. მაგრამ რესპუბლიკური რაზმების ჰაერიდან თავდასხმის საწინააღმდეგო თავდაცვა კარგად არის მოწყობილი და სანგრიტო ქვემეხები იძულებულს ხდიდნენ მოწინააღმდეგის ავიაციას მაქსიმალურ სიმაღლეზე ეფრინა. ასეთი სიმაღლიდან ჩამოგდებული ყუმბარების უმრავლესობა მიზანს ცდილდებოდა.

რესპუბლიკელთა საზენიტო არტილერიის კარგმა სროლამ ისეთი არეულ-დარეული გამოიწვია მტრის მფრინავთა შორის, რომ ერთერთმა ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა და სროლა აუტეხა საკუთარი ჯარის კოლონებს, რომლებიც სწრაფად უკან იხევდნენ რესპუბლიკელთა შეტევის გამო.

მიჯინგი რესპუბლიკური ესპანეთის დასაცავად

პარიზი, 27 ივლისი (საკდესი). მშვიდობიანობის დაცვის საერთაშორისო კონფერენციასთან დაკავშირებით, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა, შრომის საყოველთაო კონფედერაციამ და პარიზის რაიონის პროფკავშირების გაერთიანებამ გუშინ საზამთრო ველოდრომზე მასობრივი მიტინგი მოაწყეს. მრავალრიცხოვანი აუდიტორია ორატორებს ხვდებოდა შეძახილებით: „გაბსენით საზღვარი რესპუბლიკურ ესპანეთთან!“ შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივნის მოადგილემ გუისონმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა ფაშისტების მიერ მშვიდობიანი ქალაქების ბარბაროსულ ბომბარდირებაზე და მოითხოვა, რათა საფრანგეთის მთავრობამ ნება დართოს მიეყიდოს იარაღი რესპუბლიკურ ესპანეთს. მშვიდობიანობის დაცვის კონფერენციის მონაწილემ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა კლემენტისმა განაცხადა: „ჩვენ არასდეს არ დავიხევთ უკან ძალადობის წინაშე“ მიტინგზე გამოვიდა დოლორეს იბარური (პასიონარია), რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მან სთქვა:

„ჩვენ მოვედით, რათა განგიცხადოთ, რომ ესპანეთი ცოცხალია. იგი მზად არის მოკვდეს, თუ საჭიროა, მაგრამ იგი გაიმარჯვებს. დემოკრატიის მოვალეობაა დაგვეხმაროს ჩვენ რაც შეიძლება მალე გამარჯვება. ფაშიზმი უკან იხევს, როდესაც დემოკრატია ენერგიას იჩენს. ესპანეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ იმისათვის, რათა მთავრობები ვაიძულოთ შეასრულონ ხალხთა ნება-სურვილი, უნდა გავერთიანდეთ“.

შემდეგ გამოსულმა მარსელ კაშენმა აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოქმედება რესპუბლიკური ესპანეთის დასაცავად. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს რესპუბლიკურ ესპანეთთან საზღვრის გახსნას, ეგრეთწოდებულ „ჩაურევლობის“ პოლიტიკის შეწყვეტას და აგრესორებისათვის მოიკოტის გამოცხადებას.

მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

ჰენლაინელთა პროვოკაცია

პრაღა, 28 ივლისი (საკდესი). გუშინ ინგლისის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა პრაღაში ოფიციალურად აცნობა სუდეტელ გერმანელთა პარტიის ხელმძღვანელობას (ჰიტლერის აგენტურა ჩეხოსლოვაკიაში) რენსიმენის უახლოეს დღეებში პრაღას ჩამოსვლისა და მისი მგზავრობის ამოცანების შესახებ. სუდეტელ გერმანელთა პარტიის ხელმძღვანელობამ უპასუხა, რომ ჰენლაინელები „დადებითად უყურებენ ინგლისის მთავრობის ინიციატივას“ და „მის მეთვალყურეს ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენენ“.

დღეს ჰენლაინელთა პრესა მკაცრად ილაშქრებს ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წინააღმდეგ „ეროვნებათა კოდექსის“ პროექტიდან ნაწყვეტების გამოქვეყნებისათვის. სუდეტის გერმანელთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე კუნდტი მთავრობას ბრალსა სდებს „არალოიალობაში“, რადგან კოდექსის პროექტი, ვითომ საიდუმლოდ უნდა შეეხახათ მოლაპარაკების დამთავრებამდე. კუნდტი მუქარის ტონით სწერს, რომ კოდექსის პროექტიდან ნაწყვეტების გამოქვეყნება „აშკარად ავნებს მოლაპარაკების შემდგომ მსვლელობას და გაუძნელებს ლორდ რენსიმენს შეასრულოს ინგლისის მთავრობის მიერ მასზე დაკისრებული ამოცანები“.

გერმანიის ფაშისტურმა პრესამ კვლავ გააძლიერა კამპანია ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ. „ფელკიშერ ბეობახტერი“ და სხვა გაზეთები ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიერ კოდექსის პროექტის მინაარსის გამოქვეყნებას „სასკანდალო მანევრად“ აცხადებენ. გერინგის ორგანო, ესეენის „ბაციონალ-ციატუნგი“ იმუქრება ჰენლაინელებისა და სხვა ფაშისტური ჯგუფების აშკარა გამოსვლით ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა ჰენლაინის მემორანდუმს არ მიიღებს.

ოფიციალური ცნობის თანახმად, ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის საზაფხულო სესია გაიხსნება 2 აგვისტოს. პირველი სხდომის დღის წესრიგშია მთელი რიგი შეთანხმებანი საგარეო ვაჭრობის დარგში (საბერძნეთთან, სამხრეთ-სლავიასთან და სხვ.) და სხვა საკითხები.

1 აგვისტოს შესდგება მთავრობის კოალიციის პარტიების ხელმძღვანელთა კონფერენცია დეპუტატთა პალატისა და სენატის თავმჯდომარეების, აგრეთვე კოალიციური პარტიების საპარლამენტო კომისიის წევრთა შემადგენლობით.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნება პრემიერ-მინისტრ გოჯას მოხსენება ეროვნებათა კოდექსის მომზადებისა და სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან მოლაპარაკების შესახებ, საგარეო საქმეთა მინისტრის კროფტის ცნობა რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და ფინანსთა მინისტრ კალფუსის მოხსენება 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

ჯარაგონის ბარბაროსული ბომბარდირება

პარიზი, 28 ივლისი (საკდესი). ესპანის საagენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს ტარაგონამ ერთერთი ყველაზე უფრო სასტიკი საჰაერო ბომბარდირება განიცადა. „იუნკერსის“ სიტემის 10 თვითმფრინავმა დიდძალი ყუმბარა ჩამოაგდო ქალაქში. დანგრეულია 60-მდე შენობა.

ქალაქის სამოქალაქო მოსახლეობა დროზე მიიმალა თავშესაფრებში. წინასწარი ცნობებით მოკლეულია 2 კაცი, დაჭრილია 5.

იტალიის პრესა აღიარებს

რომი, 27 ივლისი (საკდესი). იტალიური ფაშისტური პრესა ესპანეთიდან მიღებულ კორესპონდენციებში იძულებულია აღიაროს აღმოსავლეთის ფრონტზე რესპუბლიკელთა ჯარის შეტევის ბრწყინვალე წარმატება. ფაშისტური გაზეთები აღნიშნავენ, რომ მდინარე ებრო გადალახეს რესპუბლიკელთა დიდმა ძალებმა. „პოპოლო დი რომა“, ცდილობს რა რამენაირად გაამართლოს მეამბოხეებისა და ინტერვენტების უწესრიგოდ გამოქცევა მდინარე ებროდან, ძალაუნებურად აღიარებს, რომ „რესპუბლიკის ჯარის შეტევას აქტიურად მხარი დაუჭირა და დახმარება აღმოუჩინა ებროს ზემოჭდვე რაიონების მოსახლეობამ“.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის კორესპონდენტების მიერ ხანკოუდან და ლონდონიდან გამოგზავნილი ცნობებით)

ცენტრალური ჩინეთში

ფრონტზე მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირის გასწვრივ ჩინელთა ჯარებმა იაპონელთა საკანონერო ნავებითა და ჰაერიდან ძლიერი ყუმბარების დაშენის შემდეგ დატოვეს ეს ქალაქი და დაიხიეს სამხრეთ-დასავლეთისაკენ თავდაცვის ახალ ხაზზე. რეიტერის საagენტოს ხანკოუელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინელთა ჯარების ნაწილები დარჩა იაპონელთა ხელში და განაგრძობს სამხედრო ოპერაციებს, რითაც იაპონელებს დიდ ზარალს აყენებს. 26 ივლისს 2.000 იაპონელი ჯარისკაცი გადასხეს ძიუძეანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იაპონელებმა 30-ზე მეტ სამხედრო გემს მოუყარეს თავი ხუკოუსთან, პოიანგხუს ტბაში შესართავებით შევიდა 10-ზე მეტი იაპონელთა სამხედრო გემი და 160 კატარღა.

მას შემდეგ, რაც საომარ მოქმედებათა ცენტრი მდინარე იანძის სამხრეთ ნაპირზე გადაიტანეს, ანხუეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში, მდინარე იანძის ჩრდილო ნაპირის რაიონში სიწყნარე ჩამოვარდა.

27 ივლისს გააფთრებით დაუშინეს ყუმბარები ჰაერიდან ქალაქ იუეჯოუს (დუნტინხუს ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე). ბომბარდირებით დანგრეულია რკინიგზის სადგური. ქალაქში დანგრეულია მრავალი სახლი. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი რამდენიმე ას კაცს უდრის.

სამხრეთ ჩინეთში

იაპონელებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი კუნძულ ნანაოსიან ნამოაზე (სვატოუს ჩრდილოეთით). იაპონელებმა ამ ადგილას მოიყვანეს 4 ათასი მეზღვაური, რომელთაც აქვთ 10 ტანკი. კუნძულზე ბრძოლაა ჩინელთა და იაპონელთა ნაწილებს შორის. გააფთრებული შეტაკების შედეგად იაპონელებს მოუკლეს 100-ზე მეტი კაცი.

ჩრდილოეთ ჩინეთში

მდინარე ხუანხეზე წყლის დაკლების შემდეგ, ჩინელთა მოწინავე ნაწილებმა დაიწყეს წინსვლა კაიფინის მიმართულებით (ხენანის პროვინციის მთავარი ქალაქი) და ქალაქიდან 8 კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან.

გერმანიის ავიაციის მასობრივი გაფრენები ჩეხოსლოვაკიის საზღვრისაკენ

პრაღა, 28 ივლისი (საკდესი). როგორც გერმანიიდან იტყობინებიან, დღეგდენიდან და ბრესლაველიდან ყოველდღე სწარმოებს მასობრივი „სასინჯი“ გაფრენები ჩეხოსლოვაკიის საზღვრებისაკენ. სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავების მთელი ესკადრილიები მიემართებიან საზღვრისაკენ, ხანდახან გადაფრინდებიან საზღვარზე, ან მიფრინავენ საზღვრის გასწვრივ და შემდეგ ბრუნდებიან დასაშვებ ადგილისაკენ. ამ „სასინჯ“ გადაფრენებში მონაწილეობას იღებენ არა მარტო სამხედრო მფრინავები, არამედ საავიაციო სკოლების მოწაფეებიც და აგრეთვე მოხალისეები „ჰიტლერული ახალგაზრდობის“ ორგანიზაციიდან.



თბილისის საბჭოს სახალხო განათლების განყოფილების კოჯრის საბავშვო საბლი № 5 საერთო ხედი.
ფოტო მ. კვირიკაშვილის („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

კოჯრის საბავშვო ახალშენის 15 წლისთავი

დიდიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩვენი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობასთან ერთად ბავშვთა იმ ნაწილს, რომლებიც მძიმე პირობებში მოეცნენ მშობლების სამოქალაქო ომში დაღუპვისა და სხვა მიზეზებით უფროოდ დაობლების გამო. ბავშვთა ეს კატეგორია რომ არ ყოფილიყო მოკლებული იმ საერთო ბედნიერებას, რომელიც წილად ხვდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერ თაობას, რაც გამოიხატება მორალურ-მატერიალურ უზრუნველყოფასა და მშობლიურ მზრუნველობაში, პარტიამ და ხელისუფლებამ გაშალა ქსელი საბავშვო დაწესებულებათა, სადაც უზრუნველყოფილია ბავშვები სწავლით, ქვებით, რჩევა-დარიგებით, მშობლიური მზრუნველობით.

ერთერთი ასეთი დაწესებულებათაგანია კოჯრის საბავშვო ახალშენიც, რომელსაც ჯერ შეუსრულდა 15 წლისთავი დაარსებიდან. ცალკეულ საბავშვო სახლებს დაარსება კოჯორში მოხდა 1923 წელს. ბავშვთა საერთო რაოდენობა განისაზღვრებოდა 200-ით, 1925 წელს ბავშვთა რიცხვი 280-მდე გაიზარდა. ამავე წელს გაიხსნა საბავშვო სახლებისათვის 7-წლიანი შრომის სკოლა.

1928 წელს გაიხსნა პედაგოგიური ტექნიკუმი. ბავშვთა რიცხვი 480-მდე ავიდა.

ამჟამად კოჯრის საბავშვო ახალშენი აერთიანებს 9 საბავშვო სახლს, ამათგან 6 საბავშვო სახლში მოთავსებულია ჭარბეული ბავშვები, 2 საბავშვო სახლში — სომეხი ბავშვები, 1 საბავშვო სახლში კი—რუსი ბავშვები.

ბავშვებისათვის ადგილზე მოწყობილია არასრული საშუალო სკოლა, რომელიც მიმდინარე წელს აერთიანებდა 16 კლასს, მომავალ სასწავლო წელში კი 25 კლასად დაკომპლექტებული.

პედაგოგთა კოლექტივი თავგამოდებით იბრძოდა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პედაგოგიური ოსტატობის დაუფლებისათვის. ამის შედეგად ეან საკმაო მაჩვენებლებს მიაღწია მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების, შეგროვილი დისციპლინის განმტკიცებისა და კულტურული ჩვევების დანერგვის საქმეში.

დიდი სტალინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესწავლისათვის საბავშვო ახალშენს აქვს ამისანაგ სტალინის შესაფერისად მოწყობილი ოთახი, სადაც ასახულია სტალინის ცხოვრება, მოღვაწეობა მომენტები. აქ ბავშვები ეცნობიან და სწავლობენ ხალხთა ბელადის რევოლუციურ მოღვაწეობას. ასევე სწავლობენ ჩვენი ალსაზრდელები საბჭოთა ქვეყნის მიღწევებს სამეურნეო, კულტურული მშენებლობის, ხელოვნების, ავიაციისა და ტექნიკის სხვა დარგებში.

როდესაც ბავშვები ჩვენთან ამთავრებენ არასრულ საშუალო სკოლას, ჩვენ მათ ვაწყობთ სასწავლებლებში ან საწარმოებში. ძირითადად ბავშვთა ახალშენს საკმარის მომსახურებას უწევს მანგლისის პედაგოგიური სასწავლებელი და თბილისის უმაღლესი სასწავლებლები.

კოჯრის საბავშვო ახალშენში აღზრდილთა შორის აღსანიშნავია დიმიტრე ბამადებეგიშვილი. იგი ბავშვთა ახალშენის აღსაზრდელად იყო 1923 წლიდან 1928 წლამდე. მან წარმატებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, ამჟამად იგი თბილისის საბჭოს ტრესტის „ინგმშენის“ კანტორა ელექტრო-მშენის უფროსი და მთავარი ინჟინერია. იგი 1923 წლიდან აქტიური კომკავშირელია და 1932 წლიდან პარტიის წევრი. აწარმოებს პრობაგანდისტულ მუშაობას.

მიმდინარე წელს საბავშვო ახალშენიდან უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 15 კაცი, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად შესწავლისათვის. ასეთებია: თბილისის პედინსტიტუტში ნ. კაპანაძე, ე. ბაგრატიონი, ნ. მჭედლიანი. ქუთაისის პედინსტიტუტში ნ. ჯაფარიძე. სამხატვრო აკადემიაში ალ. მესხი, გ. ვაშაკიძე და სხვ.

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და მთავრობის დახმარებით უზრუნველჰყო ბავშვთა ახალშენის მუშაობაში დაშვებული მანენებლობის შედეგების ლიკვიდაცია, რომელსაც ხალხის მტრები წლების მანძილზე ატარებდნენ ბავშვთა ახალშენის დაფინანსებისა და სხვა საქმეში.

პარტიისა და ხელისუფლების დახმარებით, კოჯრის ბავშვთა ახალშენს, მისი არსებობის 15 წლისთავზე, აქვს უდიდესი მიღწევები ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

ვ. ვადაჭკორია
კოჯრის საბავშვო ახალშენის დირექტორი.

მხარეული აღზრდისა და ბავშვთა შორის ფექნიკური პროპაგანდის სახლი

დღეს, პლეხანოვის პროსპექტზე (№ 125), კინო „დამკვრელის“ გვერდით მდებარე მომდანე სფუძველი ჩაეყრება თბილისის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ბავშვთა შორის ტექნიკური პროპაგანდის სახლის მშენებლობას. სახლის საესკიზო პროექტი დამტკიცებულია გზათა სახალხო კომისარიატის მიერ, ხოლო მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა 2 მილიონი მანეთის რაოდენობით დაანგარიშა ლ. მ. კაგანოვიჩმა. წელს უნდა დაიხარჯოს 550 ათასი მანეთი. მშენებლობა მინდობილი აქვს „თბილმშენს“ და უნდა დამთავრდეს 1939 წლის დამლევისათვის.

პროექტი ითვალისწინებს მოზარდ მაყურებელთა თეატრს 500 ადგილით, რომელსაც ექნება ვრცელი, კარგად მოწყობილი სცენა და დამხმარე ოთახები, თოჯინების თეატრს — 150 ადგილით, ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბს კინოლექციების დარბაზით 200 კაცისათვის და 20 ოთახს საწრეო მუშაობისათვის. სახლთან იქნება აგრეთვე ნორჩი რკინიგზელების ოთახი, ოთახები გასართობი ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკისათვის.

მუშაობა იწარმოებს ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

სახლის პროექტი შედგენილია ახალგაზრდა არჩიტექტორების ბრიგადის მიერ (ბაქრაძე, ტატარანიანი, მიქაელიანი) ცნობილი არჩიტექტორის ტერ-მიქელოვის ხელმძღვანელობით.

ამინდი

28 ივლისს დასავლეთ საქართველოში იდგა ცვალებადი, ზოგ რაიონში ნამინდრ, მეტწილ რაიონებში (ქუთაისი, ხობი, ბათუმი, გალი, გაგრა, წყალტუბო, ყვარელი) ყველაზე მაღალი ტემპერატურა დღისით (ჩინიშნული იყო ქუთაისში (37 გრადუსი), სამტრედიაში — 36, ჭიათურაში — 35, ტყიბულში — 33, ზუგდიდში — 34. ამ ორი დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს რაიონებში ტემპერატურამ საგრძნობლად აიწია.

აღმოსავლეთ საქართველოში ამავე რაცხვისათვის მეტნაწილად ცვალებადი მოღრუბლული ამინდი იდგა, ალაგ-ალაგ მოვდა წვიმა (ბორჯომი, ბაკურიანი, ახალთუმანი, სტალინირი, გორი). ყველაზე მაღალი ტემპერატურა დღისით (35 გრადუსი) იყო ყარაიაში, თბილისში იყო 34 გრადუსი, ლუქსემბურგში—33, წნორისწყალში — 32.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია ღამით მნიშვნელოვანი და დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 18 გრადუსიდან ღამით 30 გრადუსამდე დღისით.

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

30 ივლისს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდება მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის „ბურევესტნიკისა“ და თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდები.

მოსკოვის „ბურევესტნიკის“ გუნდი მოედანზე გამოვა შემდეგი შემადგენლობით: მეკარე პობედოშკინი, დაცვა: შილნიკოვი და მ. გორბუნოვი, ნახევარდაცვა: ბარანოვი, ნ. გორბუნოვი და კაპტონოვი. თავდასხმა: უარკოვი, ზაიცევი, შლიუნოვი, სოკოლოვი და ანისიმოვი. გუნდის კაპიტანია მ. გორბუნოვი. მწვრთნელი — ვ. ა. არკადიევი.

თბილისის „დინამოდან“ ითამაშებენ: მეკარე დოროზოვი, დაცვა — შავგულიძე და ნიკოლაიშვილი, ნახევარდაცვა — ჯორბენაძე, ფოლოვი და კიკნაძე, თავდასხმა—ჯაჯანაძე, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეული და სომოვი.

თამაში დაიწყება სრულ 6 საათზე. მატჩს სჯის საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლევინი (ხარკოვი).

განმარტება

„კომუნისტის“ 1938 წლის 2 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენციები „თესლის გაცემას აფერხებენ“ და „რა იწვევს ჩამორჩენას“, რომლებშიაც თელავის მეთესლეობის ბაზის გაგეზე ამბ. ნ. მეგრელიძეს ბრალდებოდა თესლის გაცემის გაჭიანურება, კარტოფილის თესლის ნაწილობრივ დალპობა, კოლმეურნეობათა მიერ წაღებული თესლის აღრიცხვის უქონლობა და სხვ. განმეორებითი შემოწმებით მეგრელიძის მიმართ წაყენებული ბრალდებები არ დადასტურდა, გარდა ზოგიერთი გაძნელებისა. კორესპონდენტებს არასწორი მასალების მოწოდებისათვის დაედოთ სათანადო სასჯელი.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტი იუწყება, რომ პარტბილეთი № 1511197, გაცემული 1936 წლის 26 მაისს ზაალ ალექსანდრეს-ძე გუგუშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1507770, გაცემული ამავე რაიკომის მიერ იოსებ სიმონის-ძე ყუბანეიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩათვალოს გაუქმებულად.

1 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ლ. კიროვის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ქალაქის პარტაქტივისათვის შეხდგება ამხ. ე. ვ. ტოლუბენკის მოხსენება თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

შესვლა საშვები ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საქფილეგთის ხაზფხულო თეატრი და გაღი
ალეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

ღია ცის ტატრადა

30 ივლისს, ტალონი № 60
ლენინგრადისა და მოსკოვის ესტრადის შესანიშნავი გასტროლები
ანა ორლოვას მონაწილეობით
დასაწყისი 9 ს. 30 წ
ვისაც საქფილეგთის მუდმივ ბილეთებზე მე-2 შესატანი გადახდილი არ ექნება, მას თეატრში არ შეუშვებენ

30 ივლისს
ვოკალური ანსამბლი კომპოზიტორ ვ. ცაბაძე-შვილის ხელმძღვ-ბით
ხმოვ. კინოფილმი შესანიშნავი სქელი მასკარადი
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით
დასაწყ. საღ. 10 საათ.

ანონსი: 7 აგვისტოდან ოპერეტის სახელმწიფო თეატრის გასტროლები. 50

ს. ორჯონიკიძის სახ. კ. და ღ. ს. პარკი
30 ივლისს
რკინიგზელთა საკავშირო ღღე
დიდი მასობრივი სეირნობა
რკინიგზის თბილისის განყოფილების მხატვრული თვითმოქმედების წრეებს ჩვენება და ფიზკულტურული გამოსვლები.
ღიდი საესტრადო კონცერტი
მონაწილეობენ თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო მსახიობები.
რკინიგზელი ახალგაზრდობის ბალი. 100

ობილისის კინო-მსახიობთა სტუდიაში
1938/39 სასწავლო წელს მიღების წესები.

სტუდია ამზადებს კინო-მსახიობებს საქართველოს კინო-მრეწველობისათვის. სწავლის ვადა 4 წელიწადი. სტუდიაში მიიღებიან სსრ ყველა მოქალაქენი ორივე სქესისა, წლოვანებით 18-დან 25 წლამდე, საშუალო განათლებით.

გამოცდები იწარმოებს სახუნიერისიტეტის ლიტერატურული ფაკულტეტის პროგრამის მიხედვით მსახიობთა უნარიანობის გამოსაძიებლად შემსვლელი გაივლის გამოცდებს:
1. მეტყველება (მონოლოგი, ლექსი, დრამატიული ნაწყვეტი, იგავ-არაკი).
2. იმპროვიზაცია (სასცენო ამოცანები),
3. ხმა, სმენა, მუსიკალობა, რითმიულობა და
4. დაენიშნება სასინჯი გადაღება კინო-ფირზე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს: 1. ავტობიოგრაფია, 2. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი, 3. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 4. ორი ფოტოგრაფიული სურათი და 5. პასპორტი (პირადად—გამოცხადების დროს).

განცხადებები მიიღება 1-დან 23 აგვისტომდე სტუდიის კანცელარიაში დილის 11 საათიდან 4 საათამდე პირადად, ან ფოსტით: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52, კინო-მსახიობთა სტუდიის დირექციას,

მისაღები გამოცდები იწარმოებს 25-დან 31 აგვისტომდე. სკოლაში ჩარიცხული ყველა სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით. სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბერს.

საერთო საცხოვრებელი სტუდიას არა აქვს.

1714 კინო-მსახიობთა სტუდიის დირექცია.

თბილის მკურნალობისა და ოსმეტიკის კაბინეტი ეძიე ნ. ბ. კონჯორიძისა
გაღაეილა
ელბაქიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.), № 21 მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.
კაბინეტი ძკურნალობს ძიძიბებს, ფერის მჭამელას, ჭორთლს, ტალღებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეჭეჭებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს 77431

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და გამომცემლობის თანამშრომელთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე კოლექტივის წევრს ამხ. ნიკოლოზ მშველიძეს მისი დედის
პელაგია სოლომონის-ასულ მშველიძის
გარდაცვალების გამო.

საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის სასწავლო კომბინატის დირექცია
1938/39 სასწავლო წლისათვის იღებს მოსწავლეებს:

სავაჭრო საქმეთმცოდნეობისა და კულინარიული წარმოების საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სკოლა ამზადებს უმცროს საქმეთმცოდნეებს, სექციონერებს, გამყიდველებს, (სამრეწველო და სასურსათო განხრით) და პირველი და მეორე ხელის მზარეულებს.

სწავლების ვადა განსაზღვრულია ერთი წლით.

სკოლაში მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები 16-დან 30 წლამდე. საჭიროა შემდეგი საბუთები:

განათლების (დედანი), წლოვანების, ჯანმრთელობის, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებისა და სამი ფოტოსურათი.

თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების ანგარიშში ჩასარიცხმა მსმენელებმა უნდა წარმოადგინონ თბილისის პასპორტი პირადად, ხოლო საქვაჭრობის ანგარიშში ჩასარიცხმა მსმენელებმა თავისი რაიონის პასპორტი და მივლინების საბუთი თავისი რაიონის საქვაჭრობის განყოფილებიდან.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიღებული იქნებიან უგამოცდოდ, ხოლო ვისაც 7 კლასი დამთავრებული არა აქვს, ამბარებს მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის მეექვსე კლასის ფარგლებში შემდეგ საგნებში:

1. ქართული (ზეპირი და წერითი), 2. რუსული ენა, 3. არითმეტიკა (ზეპირი და